# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 6 აპრილი. 2023 წ. №40 (9572) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


### პირქუში ჟამი



იხ. 3 გვ.

## აქლემთა ჭიდილში გაჭყლეტილი კოზაკი

არა ერთგზის, ხშირად ყოფილა საქართველო კოზაკის როლში, როცა ერთმანეთს უძლიერესი მეზობელი იმპერიები ებრძოდნენ: ბიზანტია და სპარსეთი, ხვარაზმელები და მონღოლები, სპარსელები და ოსმალები, სპარსელები და რუსები, ოსმალები და რუსები... ნაკლები ბოროტების ძიებაში მისდა უნებურად აღმოჩნდებოდა ხოლმე ბრძოლის შუაგულში, კარგავდა გენოფონდს, მანამდე იმედით და სისხლით მოტანილ ტერიტორიებს. ხშირად მხოლოდ ხურდა ფული იყო საგავო მაგიდაზე.

## ებრაელ ხალხს ვულოცავთ პასექის დაწყებას!



### ომარ მარგველაშვილი:

## ციხე ისევ შიგნიდან ტყდება!

## ქართველებო, იყავით ფხიზლად!

იხ. 4 გვ.

### ედიშერ გვენეტაძე:

## ვინ ზაზაკეთებინებს იარაღის ტრანზიტს დამოუკიდებლად, ეს არის უზარმაზარი მაფიოზური ძალი, რომელშიც თავისი წილი აქვს კეზერაშვილს



## საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსი არის სწორი...

## საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსი ოპოზიციას კიდევ უფრო ცუდ დღეში ჩააგდებს ⑤

## ევროპას საქართველოსთან კონფლიქტი არ აწყობს, ჩვენ მათთვის მთავარი არტერია ვართ!

## ჯაბა სამუშია სტუდენტებთან შეხვედრებს განაგრძობს

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა და ფაკულტეტზე არსებული გამოწვევების შესახებ ინფორმაცია უშუალოდ მათგან მოისმინა.**

შეხვედრაზე თსუ რექტორმა ვრცლად ისაუბრა უნივერსიტეტში არსებულ მდგომარეობაზე და სამომავლო გეგმებზე. მისი თქმით, უახლოეს მომავალში განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები, აუდიტორიები აღიჭურვება უახლესი კომპიუტერული ტექნიკით, გარემონტდება თსუ მე-10 სასწავლო კორპუსის რამდენიმე სართული.

**„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ყველგან უნდა გრძნობდეთ უნივერსიტეტის მხარდაჭერას. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თსუ თქვენი მხარდამჭერი და ძლიერი ზურგია სწავლაში, კვლევაში, საქართველოსა თუ უცხოეთში ყოფნისას,“** – განაცხადა თსუ რექტორმა სტუდენტებთან შეხვედრისას, რომელსაც ფაკულტეტის დეკანი გიორგი ღაღანიძე, პროფესორები და ადმინისტრაციის თანამშრომლებიც ესწრებოდნენ.

ჯაბა სამუშიამ სტუდენტებს მოუწოდა მეტად ჩაერთონ სტუდენტურ აქტივობებში. მისი თქმით, უახლოეს მომავალში გამოცხადდება სახელმძღვანელოების პროექტი. კერძოდ, გამოიცემა თსუ პროფესორების მიერ დაწერილი ან თარგმნილი თანამედროვე სახელმძღვანელოები. ამასთან, სრულად გაციფრულდება სახელმძღვანელოები. თსუ რექტორის ინფორმაციით, სტუდენტებს ექნებათ სტუდენტური ბარათები, რომელსაც მიებმება ძალიან ბევრი სერვისი. ამ სერვისებით თსუ სტუდენტები მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ისარგებლებენ. ასევე, თსუ სასწავლო კორპუსებში გაიხსნება უცხო ენების შემსწავლელი ცენტრები, რომელშიც სტუდენტები თანამედროვე, წარმატებული მეთოდებით შეისწავლიან უცხო ენებს. ამ მხრივ, საინტერესო იქნება საზაფხულო ან ზამთრის ბანაკები, სადაც სტუდენტები უცხოელ სპეციალისტებთან ერთად გაიღრმავებენ ენის კომპეტენციებს.



## ეროვნულ გამოცდებზე 45 000-ზე მეტი აბიტურიენტი დარეგისტრირდა!

**ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის დარეგისტრირდა გამოსაცდელთა უპრეცედენტო, რეკორდული რაოდენობა – 45 000-ზე მეტი აბიტურიენტი,** – ამის შესახებ ინფორმაციას გამოცდების ეროვნული ცენტრი ავრცელებს.

**სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის სურვილი 3 000-ზე მეტმა სტუდენტმა გამოთქვა. საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის რეგისტრაცია 10 000-ზე მეტმა მაგისტრანტობის კანდიდატმა გაიარა. მასწავლებლის საგნის გამოცდაზე 16 000-ზე მეტი აპლიკანტი დარეგისტრირდა. სპეციალური მასწავლებლის გამოცდაზე 2 500-მდე გამოსაცდელია დარეგისტრირებული.**



## შეტევა ზნეობრივ კატეგორიებზე...

ანალიტიკოს ედიშერ გვენეტაძის განცხადებით, ე.წ. ოპოზიციონერები, რომელსაც ოლიგარქი კეზერაშვილი აფინანსებს, სინამდვილეში მეხუთე კოლონის წარმომადგენლები არიან, ხოლო მართული და ინსტრუქტორების მიერ მომზადებული გრიგორიადისები, კეზერაშვილისაგან მიღებული ფულისა და დაკვეთების სანაცვლოდ ცდილობდნენ, ცოცხლად დაეწვათ სამართალდამცველები, ცეცხლს უკიდებდნენ პოლიციის მანქანებს, შარდავდნენ ეკლესიის ეზოში და ბილწავდნენ კულტურის ძეგლებს. როგორც გვენეტაძე ამბობს, შექმნილია ერთგვარი ჯაჭვი, რომელთა მიზანია საქართველოს ხელისუფლების დამხობა, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება არ ერთვება ომში და არ იხსნება საქართველოდან მეორე ფრონტის ხაზი.

დღეს ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე გვესაუბრება.

ედიშერ გვენეტაძე:

# საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსი არის სწორი...



## „ვინ გაგაკეთებინებს იარაღის ტრანზიტს დამოუკიდებლად, ეს არის უზარმაზარი მაფიოზური ქსელი, რომელშიც თავისი წილი აქვს კეზერაშვილს“

**– ბატონო ედიშერ, რა გზავნილებით ვიხილეთ ბრალდებული და მსჯავრდებული ოლიგარქი კეზერაშვილი?**

– დღევანდელ სიტუაციაში ოპოზიციური ფრთა გამოიყურება, როგორც არარაობა. ოპოზიციას აფინანსებს ის კაცი, რომელიც არის არაერთ დანაშაულში შემჩნეული. ფაქტობრივად, მას დამტკიცებული აქვს ძალიან ბევრი დანაშაული და უპირველეს ყოვლისა, ეს არის კაცი, რომელმაც ქართული ჯარი გაძარცვა და გაძარცვა იმ პერიოდში, როდესაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ახორციელებდა აგრესიას და, როდესაც ჩვენი გმირი ბიჭები იხოცებოდნენ ოკუპანტებთან ბრძოლაში. აი, ამ დროს კეზერაშვილმა, რა თქმა უნდა, სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ საფარქვეშ გაანადგურა ქართული ჯარი.

**– კეზერაშვილი ცდილობს გაათეთროს ეს ოპოზიცია, მაგრამ რამდენად მიღწევადია? არ მალავს, რომ იგი აფინანსებს ოპოზიციას და მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს.**

– დამერწმუნეთ, კეზერაშვილი კაპიკსაც არ გაიღებს ოპოზიციისათვის, მაგრამ მას მისი მამებისგან აქვს დავალება. ვერ გეტყვით ვინ არიან მისი მამები, მაგრამ ისეთი ავანტურისტები და მექრთამე ლობისტები როგორებიც არიან კრამონი, კუბილიუსი და ფოტიგა, ეს არის საშუალო რგოლი, ხოლო უფრო დიდი რგოლები ოკეანის გაღმა და ოკეანის გამოღმა ჰყავს.

კეზერაშვილს საფრანგეთის სასამრთლომ დაუმტკიცა დანაშული, მაგრამ მთელი რიგი ძალების ჩარევის შემდეგ ის გაათავისუფლეს. კეზერაშვილი არის წმინდა წყლის კრიმინალი, რომელიც გათეთრებაში ფულს უხდის გიორგი თარგამაძეს. გიორგი თარგამაძისგან ღალატი ჩვეულებრივი ამბავია. მან უღალატა ასლან აბაშიძეს, შემდეგ ბადრი პატარკაციშვილს. თუ დასჭირდება, დამერწუნეთ, რომ კეზერაშვილსაც უღალატებს და კეზერაშვილის დედის გინებას დაიწყებს. აი, ეს კაცი არის გიორგი თარგამაძე.

ამ ინტერვიუდან ჩანს როგორი უბადრუკი თავდაცვის მინისტრი ჰყავდა საქართველოს. საინტერესოა, რატომ არ ჰკითხა თარგამაძემ, საიდან გახდა მილიარდერი? კაცი არც ერთ ბიზნესში არ ყოფილა და უცბად აღმოჩნდა მილიარდერი. ამიტომ, როგორც ძველი რომაელები იყტოდნენ – აუცილებლად მივა სამართალი ურმით და დარწმუნებული ვარ, რომ კეზერაშვილი პასუხს აგებს იმ ძარცვისათვის, რაც მან საქართველოს გაუკეთა.

**– რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, როგორ შეიძლება აიხსნას მისი გზავნილები, როდესაც ამბობს, რომ აპირებს გააგრძელოს ოპოზიციის დაფინანსება?**

– ამიტომ ვლაპარაკობ, რომ პოლიტიკურ ნაწილში მას აქვს დავალება. ის მარტო არ მოქმედებს. შემთხვევითი გგონიათ 7-8 მარტის დღეებში უცბად რომ გამოგორდნენ გახარია და კვირიკაშვილი? ეს შემთხვევითი ჰგონია ვინმეს? არა ჩემო ძვირფასო მეგობრებო, შემთხვევით ასეთი რაღაცები არ ხდება პოლიტიკაში.

ვინ გაგაკეთებინებს დღევანდელ მსოფლიოში იარაღის ტრანზიტს მარტო დამოუკიდებლად?! არა ბატონებო, ეს არის უზარმაზარი მაფიოზური ქსელი, რომელშიც თავისი წილი აქვს კეზერაშვილს. ეტყობა, სანდო პარტნიორია და აქიდან გამომდინარე სურს ამ სივრცეში ჰქონდეს თავისი გავლენები, არა მარტო კეზერაშვილს და სააკაშვილს ერთად, არამედ იმ დიდი ძალას, რომელსაც ჰქვია საერთაშორისო იარაღით ვაჭრობა და მოვაჭრეები. ჩემი ვერსიით, ეს არის კაცი, რომელსაც უნდა საქართველოში დესტაბილზაციის გზით ხელისუფლების ხელში ჩაგდება, შემდგომში მთელი რიგი კრიმინალური პროექტების განსახორციელებლად.

**– თქვენ ახსენეთ ორი ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ფიქრობთ, რომ კეზერაშვილისგან ფინანსდებიან გახარია და კვირიკაშვილი?**

– მე ვლაპარაკობ ფაქტებიდან გამომდინარე. რატომ მოხდა, რომ მანამდე გახარია ჩაძინებული იყო, საერთოდ არავის არ ახსოვდა კვირიკაშვილი, მაგრამ ეს პროცესები როგორც კი დაიწყო, გამოვიდნენ წინა პლანზე და ვსვამ კითხვას – რაშია საქმე? ფაქტებიდან გამომდინარე ვსვამ კითხვას. მე მათი ანგარიშში არ მინახავს, მაგრამ არსებული ვითარებიდან და ფაქტებიდან გამომდინარე ვლაპარაკობ ამას.

**– რას გულისხმობთ?**

– კეზერაშვილი იმ გლობალური ომის პარტიის ხელმძღვანელებთან არის დაკავშირებული, რომლებიც ავალებენ იმოქმედოს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებისათვის და ხელისუფლების შესაცვლელად. თუ ამას არ გააკეთებს, მას იქაც დაიჭერენ. ამიტომ, იძულებულია გააკეთოს ის, რასაც აკეთებს, თორემ დამერწმუნეთ, რომ სულ ცალ ფეხზე ჰკიდია ქართული პოლიტიკა, სააკაშვილი, გრიგორიადისტები და ვიღაცა ნაყარ-ნუყარა ხალხი, მას აქვს სპეციალური დავალება.

**– ამ შემთხვევაში როგორ უნდა იმოქმედოს ხელისუფლებამ?**

– ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს ისე, როგორც მოქმედებს. ეს პროცესი საქართველოში გუშინ და გუშინწინ არ დაწყებულა. განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდა, რაც უკარაინაში ომი დაიწყო. უკრაინაში ომის დაწყებიდან კი 13 თვე გავიდა და საქართველოში შედეგად გვაქვს ის, რომ საქართველოს საომარ მოქმედებაში ჩაბმა ვერ შეძლეს გარკვეულმა ძალებმა. ერთი რამე მინდა გადაჭრით ვთქვა – საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსი არის სწორი, ის ეწევა ძალიან ფრთხილ პოლიტიკას. **ამ ფრთხილი პოლიტიკის გამო, მას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან, როგორც გარე, ისე შიდა მეხუთე კოლონის ძალები. გარე ძალების ერთ-ერთი წარმომადგენელი არის კეზერაშვილი, რომელიც პირდაპირ ლაპარაკობს, რომ მე ვაფინანსებ ე.წ. ოპოზიციურ მოძრაობას, რომელიც 7-8 მარტს აპირებდა სახელმწიფო გადატრიალებას.**

უფრო სწორად, **მათ მოსინჯეს ძალები და შეუტიეს სახელმწიფო დაწესებულებებს. ცოცხლად წვავდნენ სამართალდამცველებს, პოლიციის მანქანებს ცეცხლს უკიდებდნენ, ეკლესიის ეზოში შარდავდნენ, ბილწავდნენ კულტურის ძეგლებს და მეტი რაღა შეიძლება მომხდარიყო! ამ სიტუაციას შევადარებდი იგივეს, რასაც აკეთებდა ჯალალედინი. დარწმუნებული ვარ, რომ იმ კრიმინალებს აფინანსებდა და აფინანსებს კეზერაშვილი.**

ერთგვარი ჯაჭვია – რამენაირად შეძლონ საქართველოს ხელისუფლების ჩამოგდება, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება არ ერთვება ომში და არ იხსნება საქართველოდან მეორე ფრონტის ხაზი. საქმე შემდეგშია – ყველამ იცოდეს, რომ 7-8 მარტის მოვლენები არ იყო ერთჯერადი აქტი. ეს კიდევ და კიდევ უფრო მეტად განმეორდება. ამიტომ, საჭირო არის ძალიან დიდი სიფრთხილე და განსაკუთრებით შემოდგომის პერიოდში.

**– რატომ შემოდგომა?**

– აქვთ მოლოდინი, რომ ევროკავშირში ჩავარდეს საქართველოსთვის კანდიდატის მინიჭების საკითხი, მაგრამ აქაც ძალიან დიდი პლუსი მიიღო საქართველოს ხელისუფლებამ და ქართველმა ხალხმა – ეს პლუსი ის არის, რომ ევროკავშირს თავად უნდა უნდოდეს ჯერ კანდიდატობა და მერე გაწევრიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან მძიმე პროცესების წინაშე დადგება, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური კუთხით.

ამიტომ, მიმაჩნია, რომ კეზერაშვილის ეს მცდელობა, რომელსაც მსოფლიოში არსებული გლობალური ომის პარტიის დაკვეთით აკეთებს, განწირულია მარცხისათვის. დრო მოვა და კეზერაშვილი აუცილებლად წარსდგება სასამართლოს წინაშე და თავს ამოყოფს იქ, სადაც მისი ადგილია.

**თამთა ქარჩავა**

### „ნაციონალური მოძრაობა“ კეზერას „გენერლებით“ გამდიდრდა

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ ახალ სახეებად დავით კეზერაშვილის კადრები წარადგინა. გენერალი მამუკა ყურაშვილი პარტიის თბილისის ორგანიზაციაში, ხოლო გენერალი ზაზა გოგავა სამდივნოში დაიკავებს ადგილს.

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ამბობს, რომ ახალი წევრების წარდგენა პარტიის გაძლიერებას ემსახურება.




**საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური კურსი არის სწორი, ის ეწევა ძალიან ფრთხილ პოლიტიკას. ამ ფრთხილი პოლიტიკის გამო, მას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებიან, როგორც გარე, ისე შიდა მეხუთე კოლონის ძალები. გარე ძალების ერთ-ერთი წარმომადგენელი არის კეზერაშვილი, რომელიც პირდაპირ ლაპარაკობს, რომ მე ვაფინანსებ ე.წ. ოპოზიციურ მოძრაობას, რომელიც 7-8 მარტს აპირებდა სახელმწიფო გადატრიალებას.**

**მათ მოსინჯეს ძალები და შეუტიეს სახელმწიფო დაწესებულებებს. ცოცხლად წვავდნენ სამართალდამცველებს, პოლიციის მანქანებს ცეცხლს უკიდებდნენ, ეკლესიის ეზოში შარდავდნენ, ბილწავდნენ კულტურის ძეგლებს და მეტი რაღა შეიძლება მომხდარიყო! ამ სიტუაციას შევადარებდი იგივეს, რასაც აკეთებდა ჯალალედინი. დარწმუნებული ვარ, რომ იმ კრიმინალებს აფინანსებდა და აფინანსებს კეზერაშვილი.**

# აქლემთა ჭიდილში გაჭყლეტილი კოზაკი



**ამ ავ და საგედისწერო ჟამს ყოველი „სიახლე" თავის წილ ლურსმანს აჭედებს ხელისუფლებისთვის გამიზნულ წარმოსახვით კუბოზე. ერთი, სწორედ ასეთი ლურსმანჭედიობა გამართა 31 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით გამოსვლისას. ოღონდ, წინდაწინვე ვიტყვი, რომ ეს ქნა არა მწვავე კითხვებით, რომლითაც მიმართა ხელისუფლებას (რატომ ჩამოშორდით ხალხის ნებას და მისგან მიღებულ მანდატს, რასაც აქამდე პირნათლად ასრულებდით?**

**დღეს თქვენ ხართ ხელისუფლება, რომელმაც ნელ-ნელა დაიწყო ფერისცვალება: სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერების ნაცვლად ძლიერდება ერთპარტიული სისტემა; თქვენს რიგებში აღარ ისმის ოდნავ განსხვავებული აზრიც კი, ეს ავტომატურად ნიშნავს მანდატის დატოვებას; დაიწყო პარტიის გავლენის გაძლიერება მთავრობასა და პარლამენტზე, პარტიის თავმჯდომარე წინასწარ აცხადებს თავის პოზიციას ყველა პოლიტიკურ საკითხზე; თქვენ ხართ ხელისუფლება, რომელიც ბოლო წლებში გადადგმული გაუგონარი ნაბიჯებით უპირისპირდება ხალხის მანდატს; აღარ დაამთავრეთ ანტიევროპული რიტორიკა; საქართველოს ხელისუფლება ცდილობს დაამტკიცოს, რომ ევროპული და ეროვნული ინტერესები წინააღმდეგობაშია; უკრაინასთან მიმართებით ვერც დიპლომატია გამოვიჩინეთ, ვერც გონიერება და ვერც ჩვენთვის შესაფერი ისტორიული სოლიდარობა...).**

ასეთი შეკითხვა-რეპლიკები და ათჯერ უფრო მწვავეც, ყოველდღე ისმის ნებისმიერი უმაღლესი თუ უდაბლესი ტრიბუნიდან. 6-7 მარტს ჯერ საკომიტეტო და შემდეგ პარლამენტის სხდომის პირდაპირ ეთერში მაყურებელთ რა გაგვიკვირდება?! ან სულაც ასეთი ფაქტის მომსწრეთ: 31 მარტსვე მთაწმინდაზე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების 84 წლისთავთან დაკავშირებით მისი საფლავის ყვავილებით შემკობის შემდეგ, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს შალვა პაპუაშვილს და მათთან მყოფთ იქ დამხვდურმა ბრბომ უშნეო სიტყვებით მიმართა. მსგავსი ადამიანების დიდი წვლილია ზვიადის დაღუპვაშიო, გულისტკივილით აღნიშნა პრეზიდენტის ვაჟმა გიორგი გამსახურდიამ. დიახ, გასაკვირი და არსებითი პრეზიდენტის სიტყვები კი არ იყო, არამედ ის, რომ მან საბოლოოდ დაწვა ხიდები, საბოლოოდ დადგა „ხალხის" მხარეს („ხალხში" მხოლოდ აქციების მონაწილეებს რომ გულისხმობდა, სამარჩიელო არ არის), აკი სიხარულით ავსიტყვაობს რომან გოცირიძე, მარტი ხელისუფლებისთვის უმძიმესი იყო, რადგან ნოკდაუნში ჩავარდა და სალომე ზურაბიშვილმა წიხლი მიაყოლაო, „ქართულ ოცნებას" საერთაშორისო ლეგიტიმაცია დაუკარგაო.

ოპოზიცია უფრო შორს და საქმიანად იყურება: ქალბატონ სალომეს დღეს ხელისუფლების ერთადერთ წარმომადგენლად მიიჩნევს, რომელიც ქვეყანას ევროინტეგრაციის გზაზე სვლაში ხელს უწყობს. სვამენ კითხვას, სალომე ზურაბიშვილი სულ პრეზიდენტი ხომ არ იქნება, ჩვენ ტრიბუნასთან ვიხილეთ არა მოქალაქე პრეზიდენტი, არამედ ინსტიტუციური ლიდერი, რომელიც ფრჩხილებითა და კბილებით იცავდა სახელმწიფო ინტერესებსო.

ქალბატონ პრეზიდენტს ოპოზიციამ ერთადერთი რამ დაუწუნა, რაც არ გამორჩა ისეთ ბრძენ და შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსს, როგორიც ზურაბ გირჩი ჯაფარიძეა: ზურაბიშვილი გადაეფარა ივანიშვილს. როგორ, ღარიბაშვილი და კობახიძე გვაკარგინებენ ევროპას და ბიძინა თუთიყუშებს წვრთნისო? ვინ და რატომ ჭამს ამასო?! – კითხულობს გირჩი მგზნებარედ და ხელი შარვლის ჩასახდელად გაურბის.

და ბოლოს. პრეზიდენტის გამოსვლამ ოპოზიციას „პოლიტიკური პატიმრების" – სააკაშვილისა და გვარამიას გათავისუფლების (შეწყალების) იმედი გაუჩინა.

**მაგრამ ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია. ჩემი აზრით, მთავარი ეს გახლავთ: გაჩნდა აზრი, რომ ოპოზიცია, რომელმაც აქამდე ვერაფრით ვერ შეძლო რეალური ლიდერის წამოწევა სააკაშვილის შემდეგ, ზურაბიშვილს მოიაზრებს სრულიად ეროვნული ოპოზიციის ლიდერად! ყოველ შემთხვევაში მან დაივიწყა თუკი რამ აუგი უთქვამს ამ ქალბატონზე და უკვე მისაღები გახდა ოპოზიციის ნებისმიერი შტოსთვის. ამასთან, დაბეჯითებით ვრცელდება ხმები, რომ პრეზიდენტი აკოწიწებს რაღაც პოლიტიკურ მოძრაობას, ზოგი უფრო აკონკრეტებს – ქალთა მოძრაობასო.**

„ქართულმა ოცნებამ" 31 მარტის მოვლენებს რატომღაც შედარებით „რბილი" შეფასება მისცა: მოვისმინეთ უკიდურესად ტენდენციური გამოსვლა, რომელსაც კონკრეტული მიზნები ჰქონდა და ეს მიზნები რადიკალური ოპოზიციის მიზნებთან თანხვედრაში გამოიყურებოდა, პრეზიდენტმა თავისი გამოსვლით სტარტი მისცა პოლარიზაციის ახალ ტალღას.

დიახ, ბატონო, დიახ!

**თავის სიბრძნეში დაჯერებულმა დავით უსუფაშვილმა იმ დღეს საპარლამენტო ტრიბუნაზე „გაბრაზებული პრეზიდენტი" დაინახა. არა და არა, ჩემო დავით, ეს ქალბატონი გაბრაზებული ორიოდ თვის წინათ უნდა გენახა, როცა სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა ახლობლები მივიდნენ მის რეზიდენციასთან სამართლის პოვნის დიდი იმედით. ჯერ იყო და ხალხთან გამოსვლა არ აღირსა, ბოლოს, როგორც იქნა გამოვიდა და ხაფი ხმით ისე იყვირა, რას მომივარდით აქო, რომ შეურაცხყოფილმა ხალხმა მასთან არავითარი ლაპარაკი აღარ ისურვა და დაიშალა. აბა, ქალბატონ სალომეს გაბრაზება ის იყო თუ იყო!**

ყურადღებამისაქცევია, რომ პრეზიდენტის პარლამენტში წლიური ანგარიშით გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა უცხოეთის მზერა ჩვენსკენ. 1 აპრილს მთავრობის კანცელარიის წინ გამართულ ლაზარე გრიგორიადისის მხარდამჭერ აქციას დაესწრო სპეციალურად ამისთვის ჩამობრძანებული ევროკომისარი ვიოლა ფონ კრამონი. ჩამოსვლის მიზანი არც დაუმალავს: მე აქ იმისთვის ვარ, რომ სოლიდარობა გამოვიჩინო იმ ადამიანის მიმართ, რომელიც დააკავეს, მიუხედავად იმისა, თუ რა ჩაიდინა მან. ყველა პიროვნებას აქვს იმ უცხოური გავლენის კანონპროექტის წინააღმდეგ პროტესტის გამოთქმის უფლებაო. აქ ფრაუ ვიოლამ ეშმაკურად აუარა გვერდი ერთ საჩოთირო მომენტს: 21 წლის პროტესტანტი ლაზარე გრიგორიადისი არ იყო აქციის რიგითი მონაწილე, მას ბრალად ედება, რომ 7 მარტს 9 აპრილის ქუჩაზე (ყოფილი ჩიტაძის ქუჩის ქვედა ნაწილი) ორჯერ ისროლა პოლიციელებისკენ ე.წ. „მოლოტოვის კოქტეილი", ხოლო 9 მარტს ჭანტურიას ქუჩაზე განზრახ წაუკიდა ცეცხლი პოლიციის მანქანას, რომელიც ადგილზე დაიწვა.

იმ აქციაზე, სადაც ვიოლა ფონ კრამონიც იყო, მომიტინგენი მოითხოვდნენ, გაათავისუფლეთ უდანაშაულო ბავშვიო. არადა, ამ „უდანაშაულო ბავშვის" ქმედება 7-დან 11 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

4 მარტს პარტია „დროას" თავმჯდომარემ, ქართველმა როზალია ზემლიაჩკამ (ყველაზე სასტიკი და სისხლიანი ბოლშევიკი მეტსახელად „დემონი") ელენე ხოშტრიამ წარბშეკრულმა განაცხადა, ლაზარე ყველა შემთხვევაში უნდა გათავისუფლდეს, ეს ყმაწვილი თანდათან სრულიად ოპოზიციის გმირის სახეს ღებულობსო. ოპოზიცია ასე მსჯელობს: თუ მან პოლიციელებს მართლა ესროლა კოქტეილიანი ბოთლები ის გმირია, რადგან ესროლა რუსებს (რუსეთის მომხრე ხელისუფლების დამცველებს), ხოლო თუ არ ესროლა და მას სჯიან როგორც რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლს, ორჯერ უფრო გმირიო.

გენაცვალეთ ლოგიკაში!

ევროკომისარმა თავისი ჩამოსვლის მიზანი უფრო არსებითადაც გვამცნო: სოლიდარობა მინდა გამოვხატო საქართველოს მოქალაქეებისადმი, მოსახლეობისადმი, რომელიც მხარს უჭერს პროდასავლურ და პროევროპულ პოზიციებსო. „ქართული ოცნების" ზოგიერთმა წარმომადგენელმა ქალბატონ კრამონის ეს ძალად სტუმრობა და ავი სიტყვები საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობად მიიჩნია. ეს არისო სტრატეგია, რომელიც აქციებიდან უნდა გადაიზარდოს ფიზიკურ დაპირისპირებასა და ისეთი სახის სამოქალაქო ურთიერთდაპირისპირებაში, რომელიც დაკავშირებულია სისხლთან, ადამიანურ მსხვერპლთანო.

შეიძლება ამ მძიმე შთაბეჭდილების განეიტრალებას ისახავს მიზნად რადიო „თავისუფლების" მიერ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით გავრცელებული ცნობა, რომ ევროკომისია მზადაა 2023 წლის ოქტომბერში გასცეს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის მიცემის რეკომენდაცია, ერთი დათქმით, თუ თბილისი მომდევნო თვეებში არ გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც ქვეყანას დააშორებს ევროკავშირს.

დაბოლოს, ერთი „სმენი" ინფორმაციაც, რომელმაც შეიძლება ცოტა გაგვამხიარულოს ამ საგანგებოდ პირქუშ ჟამს, თუმცა, მის ავტორს პარლამენტარ თაკო ჩარკვიანს, რომელიც ცნობილია იმით, რომ არასოდეს აზრს არ ატანს თავის სიტყვებს, ეს ამბავი საზოგადოების გასამხიარულებლად როდი გამოუდია შარაზე: ჩემთვის უაღრესად სანდო წყაროებით გახდა ცნობილი, რომ ბიძინა ივანიშვილი კიდევ ერთ პარტიას ქმნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის თავმჯდომარეობით და ამ პარტიას უერთდებიან ხატია დეკანოიძე და ნიკა მელიაო. თაკოს პირი დამუწული არც კი ჰქონდა, რომ სამივე „ახალპარტიელმა" მძვინვარედ უარყო ეს „უაღრესად სანდო" ცნობა.

მოგეხსენებათ, არის ასეთი ანდაზა „აქლემების ჭიდილში კოზაკი გაიჭყლიტაო". ბრძნული, მოქნილი, დასამახსოვრებელი ნათქვამია. წარმოიდგინეთ ერთმანეთთან მოჭიდავე ორკუზიანები ან დრომადერები და მათ შორის უმწეოდ ატუზული კოზაკი, რომელსაც ზურგზე კუზი ჯერ არცკი ეტყობა, აქლემები გააფთრებულნი იბრძვიან, კბენენ, წიხლებს უშენენ, ფერდებით ეხლებიან ერთმანეთს, ღრიალებენ, ვერც ამჩნევენ პატარა არსებას, აქეთ-იქით ისვრიან, ფეხებს აბიჯებენ, ორთაშუა მოქცეულს გუდავენ...ზოგჯერ შეიძლება სიცოცხლესაც გამოასალმონ.

**არა ერთგზის, ხშირად ყოფილა საქართველო კოზაკის როლში, როცა ერთმანეთს უძლიერესი მეზობელი იმპერიები ებრძოდნენ: ბიზანტია და სპარსეთი, ხვარაზმელები და მონღოლები, სპარსელები და ოსმალები, სპარსელები და რუსები, ოსმალები და რუსები... ნაკლები ბოროტების ძიებაში მისდა უნებურად აღმოჩნდებოდა ხოლმე ბრძოლის შუაგულში, კარგავდა გენოფონდს, მანამდე იმედითა და სისხლით მოტანილ ტერიტორიებს. ხშირად მხოლოდ ხურდა ფული იყო საზავო მაგიდაზე.**

კოზაკისა და ხურდა ფულის როლი დღეს უფრო თვალნათლივ გვემუქრება უკრაინა-რუსეთის ომში, ამერიკა-ევროპისა და რუსეთის ჭიდილში, მით უფრო, რომ ორად გახლეჩილი ქართველობა, ლამის სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული პოზიცია-ოპოზიცია, ვერც კი აცნობიერებს ქვეყნის წინაშე მდგარ ახალ საშიშროებას და ამ გაუცნობიერებლობაში მთელ ერს ითრევს. ასეთ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გონივრული სიტყვა, მით უფრო, თუ მეგობრის მიერ არის თქმული.

ვფიქრობ, ასეთი გონივრული შეგონებაა უნგრეთის პრეზიდენტის ვიქტორ ორბანის დიდებული სიტყვები: „რუსეთსა და უკრაინას შორის ომში ჩვენ უნგრეთს ვუჭერთ მხარს!"

როგორია!? აი, ნამდვილი პატრიოტის პოზიცია, მოვლენათა ხედვის სიზუსტე, უპირველეს ყოვლისა-სამშობლო, მისი ინტერესები. როდის მივალთ ჩვენ იქამდე, როდის ვისუნთქებთ, როდის ვიარსებებთ მისით მის გულისცემასთან ერთიან რიტმში?

**ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია დღეს, როცა ქვეყნის ბედი ბეწვზე ჰკიდია!**

**ეს ცხოვრებისეული კრედოა!**

**ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულშიც!...**

**ალეკო ასლანიშვილი,**
(ტ. 599985633)



# ქართველებო, იყავით ფხიზლად!



**როდესაც ბიძინა ივანიშვილის მიერ შერჩეული და ჩვენ მიერ არჩეული სალომე ზურაბიშვილი ქვეყნის პრეზიდენტის სავარძელში დიდი ზარ-ზეიმით ჩავაბრძანეთ, რომელი ჩვენგანი იფიქრებდა, რომ იგი ჩვენ, მის ამომრჩევლებს და მხარდამჭერებს, ზურგს შეგვაქცევდა და დეგრადირებულ და ქვეყნის დამაქცევარ ოპოზიციას ჩაეხუტებოდა.**

სალომეს ოდიოზურ გამოსვლას მმართველი პარტია გაოგნებული უსმენდა პარლამენტის დარბაზში, საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი და ხელისუფლების სწორი კურსის მხარდამჭერი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ტელეეკრანებიდან!

ტრიბუნასთან მდგარ ქალბატონ სალომეს წარბიც არ შეუხრია, არც უხერხულად უგრძნია თავი, როდესაც ამტკიცებდა, რომ თეთრი შავია და, პირიქით. სრულიად დამსახურებლად, თითქმის მთელი ოპოზიციური სპექტრის (ამ გადაგვარებული ბრბოს) აღფრთოვანებული დადებითი შეფასებები და მილოცვებიც კი მიიღო, მათ შორის ალეკო ელისაშვილის სამარცხვინო ბოდიშიც!!!

ის არავისთან არ ათანხმებს, ისე დადის საზღვარგარეთის ქვეყნებში. არც ანგარიშვალდებულია ვინმეს წინაშე. ამიტომაც, მეორე დღესვე, გაფრინდა ლიეტუვაში.

მე ქალბატონ სალომეს ვიცნობ 1985 წლიდან, როდესაც იგი პირველად ჩამოვიდა საქართველოში ნიო-იორკიდან. მაშინ იგი გაეროს საფრანგეთის წარმომადგენლობაში მუშაობდა და ამ ორგანიზაციის გასვლით საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად გვეწვია, რომელიც პირველად და უკანასკნელად გაიმართა საბჭოთა კავშირში, კერძოდ, თბილისში.

მაშინ მე, საქართველოს მთავრობის დავალებით, კონფერენციის ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტს ვხელმძღვანელობდი. ღონისძიება ჩემს მიერ აშენებულ ქორწინებისა და რიტუალების სასახლეში უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ. მას შემდეგ ოც-



დათვრამეტი წელიწადი გავიდა. ამ პერიოდში ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა წარმატებული პოლიტიკური კარიერა გაიკეთა.

მისი მეუღლე ჯანრი კაშია ახალგაზრდობიდანვე ჩემი მეგობარი იყო.

ამის გამო, პირადად ჩემთვის არა მარტო გაუგებარია, არამედ გულსატკენიცაა ქალბატონი პრეზიდენტის მიერ ამ ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში ჯანსაღი პოზიციის ასე მკვეთრად შეცვლა, ვინაიდან საქართველოს მთავრობას და მმართველ პარტიას სწორედ ახლა სჭირდებოდა მისი მხარდაჭერა და თანადგომა.

* * *

**რაც შეეხება პრეზიდენტყოფილ სააკაშვილის უსაქციელობას, ის ერთი სიტყვით შეიძლება შეაფასო — ამაზრზენი!**

უტიფრობაა დედამისის გიული ალასანიას საქციელიც.

მიშა უბოროტესი დიქტატორი და სისხლიანი რეჟიმის ავტორია. მკვლელებისგან შემდგარმა მისმა უახლოესმა გარემოცვამ იგი საქართველოში არეულობის, სახელმწიფო გადატრიალების და ხელისუფლების შეცვლის მიზნით, სამარცხვინოდ შემოაპარა არაჟანის „ფურგონით“, როგორც განუბაჟებელი საქონელი.

* * *

**უსაქციელოგით ცნობილი აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი განაგრძობს საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას. იგი სრულიად უწყინარი და ჩვენთვის აუცილებელი კანონის მიღებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. მან, თურმე, ჩვენზე უკეთესად იცის, თუ რომელი კანონის მიღება სჭირდება ჩვენს ქვეყანას. გინდა თუ არა, ეს კანონი რუსულიაო.**

არადა, ეს კანონი მოქმედებს არა მარტო რუსეთში, არამედ ავსტრალიაში, ისრაელში, კანადაში და, თქვენ წარმოიდგინეთ, აშშ-შიც. მხოლოდ ამ კანონით გახდება შესაძლებელი ქვეყანაში არალეგალურად შემოსული ფინანსების კონტროლი და გამჭვირვალობა. ეს მაშინ, როდესაც ფარულად ფინანსდებიან ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციური პარტიები და ტელეარხები, ექსტრემისტული და ტერორის-



ტული დაჯგუფებები, მთელი ეს ხროვა, დასავლეთის შეუნიღბავი „მეხუთე კოლონა“ ღნავის, რომ შტურმით გაანთავისუფლებენ მიშას, რომელსაც ხელისუფლებისგან სასათბურე პირობები აქვს შექმნილი. ისინი არ მალავენ, რომ ძალადობრივად შეცვლიან ხელისუფლებას. აი, ასეთ ბოროტ ძალებს უჭერენ მხარს ამერიკა და ევროსტრუქტურები.

ჩემი აზრით, ასეთ ევროპასა და ნატოში შესვლა არანაირ სიკეთეს არ მოგვიტანს. უნდა დასრულდეს მათ წინაშე დამამცირებელი ხვეწნა-მუდარა და წლების განმავლობაში შეურაცხმყოფელი ლოდინი დასავლეთის კართან.

* * *

**შეამჩნევდით, რა განრისხებული სახით იდგა ტრიბუნასთან ქალბატონი სალომე და გვმოძღვრავდა.**

მისი უხიაგი გამომეტყველება სულ არ მოგაგონებდათ უსიმპატიურეს მამას ლევან ზურაბიშვილს და ულამაზეს და უსათნოეს დედას ზეინაბ კედიას.

ან პარიზში დაბადებულ და უკეთილშობილეს ოჯახში აღზრდილ ქალბატონს, რომელსაც მშობლიური ქვეყნის სიყვარული ასხივოსნებდა, პრეზიდენტი ვიოლა ფონ კრამერს მოგვაგონებდა. ის აშკარად უცხო ქვეყნის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

* * *

**ნორვეგიაში ნამყოფი ვარ საშობაოდ... მოვიხიბლე ამ მართლაც ულამაზესი ქვეყნით და მომხიბვლელი ნორვეგიელებით.**

მაგრამ იქ ასეთი უგუნური ორგანიზაცია თუ იარსებებდა, ვერ წარმოვიდგენდი, რომელიც აჯილდოვებს უმძიმესი დანაშაულებების ჩამდენ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ ჯალათს, ქვეყნის დამაქცევარ, პრეზიდენტყოფილ, მიშა სააკაშვილს.

ქართველებო, სიფხიზლე და სიფრთხილე გვმართებს.

დავფიქრდეთ, იქნებ სჯობს, შიდა პრობლემები ჩვენ თვითონ მოვაგვაროთ და უცხოელების კარნახითა და თითის ქნევით ქვეყნის მართვაზე უარი ვთქვათ. ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ, პატიოსნად და თავდაუზოგავად ვიშრომოთ და ჩვენი მშვენიერი, სალოცავი საქართველო განვავითაროთ.



ყველა რესურსი გვაქვს ამ მიზნის მისაღწევად, ერთიანობა და მონდომებაა საჭირო.

ომარ მარგველაშვილი

# კახა კალაძე: გავაკეთებთ მხოლოდ იმას, რაც აუცილებელია!



**დედაქალაქის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია აკაკი წერეთლის გამზირისა და შოთა შალიკაშვილის სახელობის (ე.წ. დიდუბის) ხიდის რეაბილიტაციას იწყებს.**

მისი თქმით, მასშტაბური პროექტის განხორციელება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ დაიწყება, რომელიც ქალაქში გადაადგილების თვალსაზრისით, გარკვეულ შეფერხებებს გამოიწვევს.

**გამზირზე დამონტაჟდება განათების ახალი სისტემა და ელექტროგადამცემი ხაზები მიწის ქვეშ განთავსდება; დაიგება ასფალტის საფარი და მოეწყობა ტროტუარი; ქვეითთა გადაადგილებისთვის მოეწყობა უსაფრთხოების კუნძულები, დაიხაზება ზებრა გადასასვლელები, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის კი გამოიყოფა შესაბამისი სამოძრაო ზოლი. გარდა ამისა, ჩატარდება გამწვანების სამუშაოები, გამზირზე არსებული ინფრასტრუქტურა კი, ადაპტირდება შშმ პირებისთვის.**

თბილისის მერმა ასევე, ისაუბრა ე.წ. დიდუბის ხიდის რეაბილიტაციის პროექტზე, რომელიც წერეთლის გამზირის სრული რეაბილიტაციის პარალელურად განხორციელდება.

დედაქალაქის მერმა ტრანსპორტის რეფორმაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ 2022 წლის იანვარ-თებერვალთან შედარებით, მიმდინარე წლის ანალოგიურ თვეებში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა 43%-ით არის გაზრდილი.

**„აღნიშნული მონაცემები მაჩვენებელია, რომ რეფორმა სწორი მიმართულებით მიმდინარეობს და ის მიდგომები, რაც სხვა ევროპულ ქალაქებში გამოიცადა, წარმატებით ინერგება ჩვენს დედაქალაქში. რა თქმა უნდა, დაგეგმილი ღონისძიებები ბოლომდე იქნება მიყვანილი, როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალი ქსელის დანერგვის თვალსაზრისით, ასევე, განცალკევებული საავტობუსო ზოლების დასამატებლად და ერთმანეთთან დასაკავშირებლად“**, — განაცხადა კახა კალაძემ.

**თბილისის მერის თქმით, 28 მარტს დადასტურდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით რეკორდული — 1 360 795 მგზავრობა.**

**ქალაქის მასშტაბით, მიმდინარეობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალი ქსელის დანერგვა. ავტობუსების**



**შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად, ქალაქის სხვადასხვა რაიონში მნიშვნელოვან კვანძებზე ეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რაც აღმოფხვრის არსებულ შეფერხებებს. წელს დაიწყება 18-მეტრიანი ავტობუსების შესყიდვის პროცესიც და მომავალ წელს დედაქალაქს ახალი ავტობუსები შემოუვა“**, — განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერის თქმით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეფორმის გარეშე, კერძო ავტომობილებით გადაადგილების მაჩვენებელი კიდევ უფრო მზარდი გახდება.

**„2016 წელს დედაქალაქში გადაადგილდებოდა 300 000-მდე ავტომობილი. დღეის მდგომარეობით, ეს რიცხვი 580 000-დან 600 000-მდეა. ეს ტენდენცია გრძელდება და გაგრძელდება. ევროპაში ავტომობილი ჰყავს მოსახლეობის 70%-ს და კვირაში ხუთი დღე ან მეტი, ავტომობილით გადაადგილდება 12%. დედაქალაქში ავტომობილს ფლობს, დაახლოებით, 45% და კვირაში ხუთი დღე ავტომობილს გამოიყენებს მფლობელების 97%. ამ რეალობაში გვიწევს სატრანსპორტო რეფორმის გატარება. მესმის, რომ ის არაპოპულარულია, მაგრამ საუბარია ამ ქალაქის მომავალზე. წლების წინ რომ დაეწყოთ აღნიშნული რეფორმის განხორციელება, დღეს თბილისში სხვა რეალობა გვექნებოდა. არ ვუშინდებით აღნიშნულ გამოწვევებს, გავაკეთებთ იმას, რაც აუცილებელია“**, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს რეფორმის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

კახა კალაძის განცხადებით, თბილისის ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების პროცესში ბიზნესის ჩართულობა მნიშვნელოვანია, თუმცა რეაბილიტაციის დროს შენობის სახის ცვლილება ან სართულების დამატება ვერ მოხდება.

იხ. 6 გვ.

# საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსი ოპოზიციას კიდევ უფრო ცუდ დღეში ჩააგდებს

## ევროპას საქართველოსთან კონფლიქტი არ აწყობს, ჩვენ მათთვის მთავარი არტერია ვართ!



**ევროკომისია საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისკენ იხრება და, დიდი ალბათობით, ქვეყანა 2023 წლისთვის კანდიდატის სტატუსს მიიღებს. არაერთი წყაროს თანახმად, ევროკომისია მზადაა, 2023 წლის ოქტომბერში გასცეს საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიცემის რეკომენდაცია. თუმცა, ამ მზაობას თან დათქმა ახლავს, რომ საქართველო ამ 6-თვიანი პერიოდის განმავლობაში არ გადადგამს მორიგ ნაბიჯს ევროკავშირისგან დისტანცირებისთვის და რეფორმებზე მუშაობას გააგრძელებს. ოქტომბერში, ასოცირებული ტრიოს ქვეყნების შესახებ მორიგი ანგარიშების გამოქვეყნების ფონზე, ევროკომისია გასცემს უკრაინასა და მოლდოვასთან გაწევრების მოლაპარაკებების დაწყების რეკომენდაციას.**

„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი **რიკარდ იოზვიაკი** Tvitter-ზე წერს, რომ მას სანდო წყაროდან ინფორმაცია აქვს, საქართველომ შესაძლოა კანდიდატის სტატუსი მიიღოს.

**„ევროკომისია მაისში წარმოადგენს განახლებულ მოსაზრებას უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების სტატუსების შესახებ. გაფართოების პაკეტის ფარგლებში საბოლოო შეფასება მოსალოდნელია ოქტომბერში. ასე რომ, დარჩენილია 6 თვე, მაგრამ სამუშაო დაშვება ამ დროისთვის ასეთია: უკრაინას და მოლდოვას – რეკომენდაცია გაწევრიანების მოლაპარაკებების დასაწყებად, საქართველოს – კანდიდატის სტატუსი“**, – წერს იოზვიაკი.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, **მამუკა მდინარაძეს** კი სხვა მოსაზრება აქვს.

**„მათზე რადიკალური ოპოზიცია ასეთი კარგი წარმოდგენა ნამდვილად არ მაქვს, რომ ჩაერთვებიან ევრორეკომენდაციების შესრულებაში. უკვე ხელისგულზე ჩანს და ეს მათი განცხადებებიდანაც იკვეთება, რომ მათ მიზნად აქვთ სამპუნქტიანი გეგმის შესრულება. პირველი პუნქტი ამ გეგმაში არის კანდიდატის სტატუსის მიღების მიმართ მაქსიმალურად მოლოდინის აწევა, თუნდაც პოზიტიურის, შემდეგ ვერ და არმიღება ამ სტატუსის. ალბათ, გჯერათ, რომ მათ მაინცდამაინც არ უნდათ ამ სტატუსის მიღება და ეს მათი გეგმაა, შემდეგ ამაზე რევოლუციის მოწყობა, საზოგადოებაში მღელვარება, ქაოსი და შემდეგ უკვე ხელისუფლების ცვლილება და მეორე ფრონტი საქართველოში. სწორედ ეს იქნება რუსული საქმე ამ ქვეყანაში, თუკი რაიმე შეიძლება, რუსულ საქმედ მოინათლოს. მათი გეგმა რომ მოქმედებაში მოვიდეს, წარმოუდგენელია სხვანაირად, რომ, მაქსიმუმ, ერთ თვეში რუსეთი არ იდგეს ამ ქვეყანაში. შეიძლება, ვიღაცას მიზნად ნამდვილად არ ჰქონდეს, რომ რუსული ტანკები თბილისის ცენტრში იდგეს, მაგრამ როცა ამ გეგმას მიყვები, ეს არის სწორედ რუსული საქმე და ეს არის საქმე, რომელიც საბოლოო ჯამში ყველაზე მეტად ოკუპანტი ქვეყნის წისქვილზე დაასხამს წყალს“.**

მისივე თქმით, ამის საპირისპიროდ, ხელისუფლების გეგმა არის სტაბილურობა, მშვიდობა, განვითარება.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** for.ge-სთან საუბრისას მიიჩნევს, რომ იმ პრობლემებიდან გამომდინარე, რაც საქართველოს ქვეყნის შიგნით და ასევე უკრაინის ომის ფონზე მის გარშემო შეიქმნა, დიდი ალბათობით, ევროკავშირმა საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი უნდა მიანიჭოს. ანალიტიკოსი ამბობს, რომ საქართველოს მოლდოვაზე და უკრაინაზე ბევრად მეტი კარგი შედეგები აქვს და, ამიტომ საქართველოს მიმართ ევროკავშირი უფორ მკაცრი იყო. ეს უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო და არცთუ სამართლიანი. ამიტომ ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ახლა თუკი ხელისუფლება 12-პუნქტიან რეკომენდაციასაც სრულად შეასრულებს, ევროკავშირს არ ექნება არგუმენტი, ქვეყანა რატომ უნდა დარჩეს კანდიდატის სტატუსის გარეშე.

**„ევროკავშირი კარგად ხვდება, რომ თუკი საქართველო კანდიდატი ქვეყნის სტატუსს ვერ მიიღებს, ამას შიდა გართულებები მოჰყვება. არ არის გამორიცხული, ქვეყნის შიგნით, ამის გამო დაპირისპირებაც დაიწყოს. ამის რისკი რომ არსებობს 7-8 მარტის მოვლენებმაც აჩვენა. ევროპელებმა დაინახეს, რომ ხალხს სურს კანდიდატის სტატუსის მიღება და თუკი ხელისუფლება ამ 12 რეკომენდაციას შეასრულებს და მაინც არ მოგვცემენ, მაშინ აგრესია ევროკავშირის მიმართ გაიზრდება. მიუხედავად ჩვენი ხელისუფლების დაჟინებული განცხადებისა, შიდა დაპირისპირება და თუნდაც საქართველოში ომი, ევროპას ყველაზე მეტად არ უნდა აწყობდეს.**

**ამ სცენის თავიდან ასარიდებლად, ალბათ, დადებითი პასუხის მიღება ყველაზე საუკეთესო გამოსავალი იქნება. ახლა კანდიდატის სტატუსის მიღება საქართველოში გარემოს უფრო სტაბილურს გახდის. უნდა თუ არა ეს ვინმეს, „ოცნება“ 2024 წლამდე არსად არ წავა და პირიქით, შანსი აქვს, თუკი კანდიდატის სტატუსს მივიღებთ, კიდევ ერთი საპარლამენტო არჩევნები მოიგოს. ამიტომ ევროპელებაც კარგად იციან, რომ სტატუსის მინიჭებაზეა ბევრი რამ დამოკიდებული. შესაძლოა „ოცნება“ ზოგიერთ ევროპარლამენტარს ან კონგრესმენს გულზე არ ეხატებოდეს, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ თუკი საქართველოში სიმშვიდეა საჭირო, არსებული ხელისუფლება უნდა დარჩეს და პროცესები არჩევნებამდე მშვიდობიანად მივიდეს“**, – აცხადებს ძაბირაძე.

მისივე აზრით, თუკი ოპოზიციამ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, როგორც ბერკეტი ხელიდან გაუშვა, მაშინ სიტუაცია 2024 წელს კიდევ უფრო დრამატული შეიძლება იყოს. იგი ამბობს, რომ ოპოზიცია დიდ შეცდომას უშვებს, როცა მთელი კამპანია ხელისუფლების რუსეთუმეობაზე აქვს აწყობილი. რეალურად კი, თუკი „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში კანდიდატის სტატუს მივიღებთ, ხელისუფლებას ყველა ბერკეტი მათ წინააღმდეგ ექნება.

**„საქართველო ევროპისთვის ახლა მთავარი არტერია ხდება. ეს არის აზერბაიჯანის და შუა აზიის დამაკავშირებელი გზაა. მთავარი წერტილი, საიდანაც ნავთობპროდუქტები, ელექტროენერგია უნდა მიეწოდოთ. ჩვენი ქვეყანა ენერგოდერეფანი ხდება. ამიტომ აქ ყველაფერს იღონებს დასავლეთი, რომ ქვეყნის შიგნით სტაბილური გარემო შეინარჩუნოს. შესაბამისად, ქვეყანაში ახალი კონფლიქტის ზონა რომ არ გაჩნდეს, დასავლეთი ამის უზრუნველყოფას შეეცდება. დასავლეთი საქართველოს ხელისუფლების ნეიტრალურ პოლიტიკას უკრაინის ომთან დაკავშირებით შეეგუება კიდეც. როგორც აღვნიშნე, მათ ახლა „ოცნების“ ხელისუფლებასთან კონფლიქტი არ აწყობთ. თუ ქვეყანა კანდიდატის სტატუსს მიიღებს, ოპოზიცია კიდევ უფრო ცუდ დღეში აღმოჩნდება. რაღაცას რომ ამოიჩემებენ, იმის ანალიზს ვერ აკეთებენ, ეს რას აძლევთ. 10 წელია ამბობენ, რომ „ოცნება“ პრორუსულია, მაგრამ ხალხი არ უჯერებს, არ უსმენს, რაღაცა ხომ უნდა შეცვალონ?! ამიტომ მგონია, რომ ოპოზიციის საქმე ძალიან ცუდად იქნება, თუ რიტორიკა არ შეცვალა და საქმეს არ მიხედა“**, – ამბობს ძაბირაძე.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძეც** თვლის, რომ შესაძლოა საქართველომ კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიიღოს. საყვარელიძე ფორ.გე-სთან ამის მიზეზებს ასახელებს. მისი აზრით, პირველ რიგში, იციან, რომ ქვეყნის შიგნით, ევროკავშირის მიმართ, სკეპტიციზმი გაჩნდება. თუკი ხელისუფლება 12-პუნქტიან რეკომენდაციასაც შეასრულებს, მაშინ ხალხი კიდევ ერთ უარს, როგორც ეს პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა თქვა, ვეღარ გაიგებს. მეორე მიზეზი კი თავად ევროპის ინტერესია, რომელიც ელექტრომატარებლებს ეხება და საქართველოს როლი ძალიან დიდია.

**„გვახსოვს ბევრი უცხოელი კოლეგის მხრიდან გაისმა, რომ საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის არმინიჭება უსამართლო გადაწყვეტილება იყო. შემდეგ ეს ტენდენცია გაძლიერდა და გერმანიის კანცლერმა შოლცმა თქვა, რომ ევროპა თბილისამდე უნდა გაგრძელდეს. უკვე იგულისხმებოდა, რომ ამ მიმართულებით ევროპაში მოქმედება დაწყებული იყო. თუმცა ის 12 პუნქტი, რომელიც მოიმიზეზეს, ბოლომდე უნდა მიიყვანონ, თორემ ევროპის მიმართ ძალიან არასერიოზულ დამოკიდებულებას გააჩენენ. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს როგორც ტნაზიტულ დერეფანს. ამიტომაც ევროპა ამ მიმართულებით იფრთხილებს. შესაბამისად, გადაწყვეტილებას მეც დადებითს ველი. ეს ჩვენი ქვეყნისთვის კიდევ დამატებით ბერკეტია იმისთვის, რომ ევროპასთან მეტი სიახლოვე მოვითხოვოთ.**

**რა თქმა უნდა, ოპოზიციისთვის ეს სცენარი ყველაზე არასასურველია. ბოლოს ვხედავთ, რომ ხალხი საერთოდ მათ დაძახებაზე არ რეაგირებს. პირიქით, აქციებზე მათი გამოჩენაც კი აღიზიანებთ. თუკი ქვეყანა სტატუსს მიიღებს, ოპოზიციას მთელი ამ წლების დაწყებული კამპანია წყალში უვარდება. მთელი დღის წესრიგი აქვთ შესაცვლელი. 2024 წლისთვის საერთოდ წინასაარჩევნო კამპანია აღარ ექნებათ. შეიძლება ბოლოს ისიც კი თქვან საქმე პუტინმა ჩააწყო, რომ „ოცნება“ გადაერჩინაო. თუ ევროპამ თანხმობა გვითხრა, მაშინ ოპოზიციამ ხელისუფლების ცვლილება რაღა ლოგიკით უნდა მოითხოვოს? ისედაც წლებია ხალხი მათ „ოცნებაზე“ უკეთესად არ მიიჩნევს. ერთი უპირატესობა ვითომ ის აქვთ, რომ პროდასავლურები არიან. ამიტომ სიტუაცია ოპოზიციისთვის იმაზე დრამატული იქნება, ვიდრე ეს შეიძლება ჩვენ წარმოგვიდგენია“**, – ამბობს საყვარელიძე.

**ლიკა ბერიკაშვილი**

## შავი ზღვის წყალქვეშა სადენის პროექტი და ანაკლიის ნავსადგური...



**შავი ზღვის წყალქვეშა სადენის პროექტის განვითარების სავარაუდო მარშრუტისა და ადგილმდებარეობის შერჩევის მიზნით, ანაკლიაში ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის, დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, იტალიური საკონსულტაციო კომპანიის ექსპერტებთან ერთად იმყოფებოდნენ.**

სტუმრებმა განიხილეს და დაათვალიერეს ანაკლიის სანაპირო ზოლში ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის განსათავსებელი ადგილები, ასევე იმყოფებოდნენ ქალაქ ჯვარში მდებარე ქვესადგურში, სადაც წყალქვეშა სადენის საქართველოს ენერგოსისტემას მიუერთდება.

## ფოთში ისტორიული მნიშვნელობის შენობების სახურავები განახლდა

**ფოთში, ისტორიული მნიშვნელობის შენობების – კოლხური კულტურის მუზეუმისა და ბავშვთა ცენტრის ადმინისტრაციული შენობების სახურავები სრულად განახლდა,** – ამის შესახებ ინფორმაციას ფოთის მერია ავრცელებს.

**„ასევე, უახლოეს პერიოდში დაგეგმილია მუზეუმის შიდა სივრცის რეაბილიტაცია. სრულად განახლდა ფოთის ბავშვთა ცენტრის ადმინისტრაციული შენობის სახურავი. გადახურვის ღონისძიებები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა. იგეგმება შიდა ინფრასტრუქტურის მოწყობა-მოწესრიგება. ორივე შენობა გერმანელი არქიტექტორის ედმუნდ ფრიკის მიერ არის აშენებული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს“**, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.



# „გაგვიძეხ, ბერო მინდიავ!..“




გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, საქართველოში აზვირთებულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრმა ტალღამ ცხინვალის რეგიონსაც გადაუარა და ლიახვისპირა ქალაქს დიდი ტკივილი დაუტოვა.

როგორც ცხინვალელი მკვლევარ-ისტორიკოსი, პროფესორი მამუკა ცოტნიაშვილი აღნიშნავს, **9 აპრილმა გაგვაცნო საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მცირე ერების, (კერძოდ, ოსი და აფხაზი სეპარატისტების) ჭეშმარიტი დამოკიდებულება ქართველი ხალხისადმი. სწორედ იმ დღეებში განსაკუთრებულად გამძაფრდა ეთნიკური დაძაბულობა. ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (დღეს რომ თვითმარქვია რესპუბლიკად იწოდება) სეპარატისტები დაუპირისპირდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას.**

წვერიახოს მთიდან აღმობრწყინდა მზე დიდებულად, ლურჯი აპრილი (1989 წ.) ზეობდა ლიახვისპირა ივერიელთ სამკვიდროში. ქალაქის ქართველმა ახალგაზრდობამ დილიდანვე დაიწყო ღვთისმშობლის ეკლესიასთან შეგროვება. ნაშუადღევს, მათ შეუერთდნენ ჭარმაგი ადამიანები, სკოლის მოსწავლეები თუ სკოლამდელი ასაკის ბავშვები. აქ მოვიდნენ თბილისიდან ჩამოსული სტუმრები, – ივანე მაჩაბლის საზოგადოების თავმჯდომარის, პროფესორ გურამ შარაძისა და სახალხო ფრონტის თავმჯდომარის, პროფესორ ნოდარ ნათაძის თავკაცობით.

ოსი სეპარატისტები ერთობ გაჯიუტდნენ, რომ ქალაქში შემოეტანათ შავი მარმარილოს მემორიალური ქვა. **დაძაბულობა, ოსებისა და ქართველების ავტორიტეტმა – გურამ („ჯაყო“) ცხოვრებოვმა განმუხტა. მან, თავისივე ინიციატივით, ადგილობრივ ხელოსნებს წინასწარ დაამზადებინა მარმარილო ოსურ და ქართულ ენებზე წარწერით: „9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად.“**

ერთხანს, ოს სეპარატისტთა ვნებათა ღელვა მიწყნარდა. მემორიალური ქვაც დაიდგა მინიშნებულ ადგილას. სანთლებით გაჩირაღდნებულ ღვთის ტაძარში, სადაც ლეკისუზნელი არქიმანდრიტი მიქაელი (რომანოზ კასრაძე) 9 აპრილს დაღუპულთა პარაკლისს აღავლენდა, მრევლს ვერ იტევდა.

უამრავი ხალხი ტრიალებდა ეკლესიის წინ. ახლადდადგმულ მემორიალურ ქვასთან, ქართველების გვერდით, ოსებიც მრავლად შეინიშნებოდნენ. აქვე იყვნენ, – პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი, ღირსეული ინტელიგენტი მერაბ გოხელაშვილი და საოლქო კომიტეტისა და აღმასკომის სხვა თანამშრომლები.

მოზღვავებულ შეკრებილთა წინაშე წარსდგა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვალნინ ცხოვრებაშვილი. მან თანამემამულეებს სიმშვიდისკენ მოუხმო და ყურადღება გაამახვილა ოს-ქართველთა ურთიერთობაზე, ტრადიციულ მეგობრობაზე, პატივი მიაგო 9 აპრილს თბილისში მოწამებრივად დაღუპულთა ნათელ ხსოვნას. ამას კი სეპარატისტების მხრიდან ყიჟინა, უშვერი შეძახილები და სტვენა მოჰყვა, რაც გაწევ-გამოწევაში გადაიზარდა. პარტმდივანმა საუბარი შეწყვიტა და მალევე განერიდა გავეშებულ ჯგუფს.

მოულოდნელმა არეულობამ გარკვეული ზემოქმედება მოახდინა ღვთისმშობლის ეკლესიის გვერდით შეჯგუფულ ქართველ ახალგაზრდებზე და ისინიც აჩოჩქოლდნენ.

ვითარება თანდათან უმართავი ხდებოდა. ამიტომაც დაჩქარდა მიტინგის დაწყება.

ქართული ეროვნული დროშების ფრიალში, ყმაწვილებმა ხელში აიტაცეს ტრანსპარანტები: „ძმებო, ოსებო! ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ!,“ „გაუმარჯოს ქართველი და ოსი ხალხის საუკუნეობრივ მეგობრობას!..“ უცებ, ყმაწვილთა რიგები შეირხა. ოსი „ბოევიკები“ ერთმანეთის მხრებზე აღიმართნენ, მოზარდებს ტრანსპარანტები ხელიდან გამოგლიჯეს და ნაკუწებად აქციეს. საშინელმა ვითარებამ კულმინაციას მიაღწია. **„წივილ-კივილი ატყდა, ქვების სროლა დაიწყო. ეკლესიაში შეცვენილმა ბანდიტებმა შეურაცხყვეს როგორც სალოცავი, ისე არქიმანდრიტი და დიაკვანი. სკოლის მოსწავლეები ერთმანეთში აირივნენ... ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო უბედურება. საჭირო გახდა ადგილიდან მათი სასწრაფოდ გაყვანა.“** ამ დროს, **იმარჯვა ეროვნული მოძრაობის გამჭრიახი ლიდერის, მიხეილ ცოტნიაშვილის დიდმა ავტორიტეტმა. მან, ახლო მეგობარ მერაბ გოხელაშვილთან ერთად, შეძლო მილიციის ცხინვალის საქალაქო განყოფილების უფროსთან, ვიცე პოლკოვნიკ გიორგი (გია) სანაკოევთან მოლაპარაკება... აქ, არ შეიძლება პატივისცემით არ მოვიხსენოთ ოლქის მილიციის ოსი ეროვნების თანამშრომელთა კეთილშობილური მოქმედება.** მათ გაარღვიეს ექსტრემისტთა დაჯგუფება, შექმნეს დერეფანი და უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხს გზა მარქსის ქუჩისკენ გაუხსნეს.

– „გაგვიძეხ, ბერო მინდიავ!..“ მოწოდებად გაისმა გურამ ზოზიაშვილის მჭექარე ხმა და **პატრიოტ ქართველებს წინ გაუძღვა ცხინვალის მემატიანე, მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი მიხეილ ცოტნიაშვილი.**

მომიტინგეები „მიემართებოდნენ კოლონებად, მწყობრად დგვრისისა და თამარაშნისკენ. როცა შიში დაძლიეს, „მუმლი მუხასაც“ წამოიმღერებდნენ- ხოლმე. რამდენიმე კორესპონდენტმა მოინდომა გადაეღო ეს შემაძრწუნებელი სურათი, მაგრამ ოსმა „ბოევიკებმა“ ხელიდან წაგლიჯეს ფოტოაპარატები და დალეწეს. ისინი ჯგუფებად მიჰყვებოდნენ კოლონას, ცდილობდნენ მასში შეჭრას, რათა ფიზიკურად გასწორებოდნენ მსვლელობის მონაწილეებს, მაგრამ დაცვა, რომელიც მიაცილებდა მათ, მარჯვედ იგერიებდა საშიშ მოძალადეებს.“

ცხინვალიდან, მის მიმდებარე სოფელ თამარაშნამდე, სამკილომეტრიანი გზა, როგორც იქნა, გალიეს და მწერლის, პუბლიცისტისა და შექსპირის გენიალური მთარგმნელის, ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმთან განაახლეს ღვთისმშობლის ეკლესიასთან შეწყვეტილი მიტინგი. ხალხმრავალი შეკრება კიდევ უფრო გაიზარდა. დაემატნენ თამარაშნელები, აჩაბეთელები, ქურთელები, კეხველები და ხეითელები. მათ შეუერთდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები – გურამ შარაძე და ნოდარ ნათაძე, რომლებიც შეიარაღებულ თავდამსხმელებს ძლივს გადაურჩნენ.

9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი **მიტინგის მონაწილეებს მიესალმნენ სასიქადულო მამულიშვილები: გურამ შარაძე, მიხეილ ცოტნიაშვილი, ნოდარ ნათაძე, ოლენა ბაშარული, ნაილი გახელაძე, თამარ კახნიაშვილი... მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ ცხინვალში მომხდარი აგრესიული გამოხტომები ოს ხალხს არ ეკუთვნის და ის სეპარატისტული ძალების შავბნელი ზრახვებია.**

კითხვაზე, თუ რას ფიქრობდნენ მესამე ძალის მიერ წაქეზებული ოსი ექსტრემისტები, როცა ასეთ უსულგულო დამოკიდებულებას იჩენდნენ 9 აპრილის ტრაგედიის მიმართ?

პასუხი ერთმნიშვნელოვანია, – **ისინი წინ ეღობებოდნენ დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ქართველი ხალხის ჯანსაღ მისწრაფებას, რათა საქართველო კვლავ იმპერიული რუსეთის შემადგენლობაში დარჩენილიყო. ამასთან, ცდილობდნენ რუსეთის რეაქციული ძალების გულის მოგებას, რომ მეტი მხარდაჭერა ჰქონოდათ მათგან შიდა ქართლის მიტაცების გეგმის განხორციელებაში.**

მართლაც, როდემდე უსამართლობა, – ქართული ტერიტორიების მიტაცება ე.წ. მცოცავი ანექსიის სახით, ცხინვალის რეგიონში რუსი ოკუპანტების თავაწყვეტილი ბოგინი, ისტორიულ „სამაჩაბლოში ქართლის ცრემლი,“ – როდემდე?!..

**როზერტ ოდიკაძე,**



**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.**

# კახა კალაძე: გავაკეთებთ მხოლოდ იმას, რაც აუცილებელია!

(მეოთხე გვერდიდან)

**„აღნიშნული პროგრამა უკვე ფუნქციონირებს. ამ გადაწყვეტილებამ ყველა შესაბამისი უწყება გაიარა, დედაქალაქის საკრებულომ დაამტკიცა და უკვე შეგვიძლია, ახალი პროგრამის საშუალებით, ძველი თბილისის შენობა-ნაგებობები მოვაწესრიგოთ. ერთადერთი რესურსი, რაც გვქონდა, იყო „თბილისის განვითარების ფონდი“, რომელიც სხვადასხვა პროექტს ახორციელებს. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, ბევრი კარგი სამუშაო ჩატარდა, თუმცა ეს საკმარისი არაა. ჩვენ იმდენად დიდი პრობლემის წინაშე ვდგავართ ძველ უბნებში, ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერში ბიზნესის შემოყვანა მნიშვნელოვანია“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის განმარტებით, ახალ პროგრამას ორი მიმართულება აქვს, პროექტირებას და ხარჯთაღრიცხვას კი „თბილისის განვითარების ფონდი“ უზრუნველყოფს.

დედაქალაქის მერმა ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპზეც ისაუბრა, რომელიც პირველი აპრილიდან ამოქმედდა. მესამე ეტაპის ფარგლებში, ხელმისაწვდომი გახდა ვებგვერდის www.taxi.tbilisi.gov.ge განახლებული ვერსიაც.

**„პირველი აპრილიდან ამოქმედდა ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპი. შესაბამისად, უკვე ხელმისაწვდომია ვებგვერდის – www.taxi.tbilisi.gov.ge განახლებული ვერსია მთელი რიგი შესაძლებლობებით, რომელსაც ეს ეტაპი ითვალისწინებს. ვებგვერდზე განთავსებულია მოხმარების ინსტრუქცია. მინდა, ტაქსის თითოეულ მძღოლს და ნებართვის მფლობელს წარმატებები ვუსურვო და მადლობა გადავუხადო თანამშრომლობისთვის. დარწმუნებული ვარ, ამ ადამიანებისთვის აღნიშნული ცვლილება წარმატების მომტანი იქნება“,** – განაცხადა კახა კალაძემ.



**„დედაქალაქში „სტრიტ არტის“ ცნობილი ქართველი და უცხოელი არტისტების მიერ უამრავი საინტერესო ნამუშევარი შეიქმნა, რომელიც შეიძლება ვიხილოთ მიწისქვეშა გადასასვლელებში, მრავალსართულიანი კორპუსის ან დაწესებულების კედელზე, ქალაქის ისტორიული უბნების არეალთან შეხამებული, ბეტონის სამშენებლო ღობეზე, და ასე შემდეგ. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, თბილისში 70-ზე მეტი ასეთი ნამუშევარი შეიქმნა. თბილისის მერია კი თითქმის ყველა იმ პროექტის მხარდამჭერია, რომელიც დედაქალაქში ამ მიმართულებით ხორციელდება.**

**ამჯერად, გვაქვს ახალი ინიციატივა – გვსურს, გამოვაცხადოთ კონკურსი, რომელიც გააერთიანებს „სტრიტ არტის“ მიმართულების ფესტივალებსა და თავისუფალ პროექტებს. მთელი აპრილის განმავლობაში, თბილისის მერიაში შესაძლებელი იქნება განაცხადების შემოტანა, შემდეგ კი პროექტები მთელი წლის განმავლობაში განხორციელდება. კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია თბილისის მერიის ვებგვერდზე იქნება ხელმისაწვდომი“.**

კახა კალაძემ ურბანული სტილის არტისტებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ დედაქალაქის მერია ქალაქის გალამაზებას ყოველთვის შეუწყობს ხელს.

**როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, 2 აპრილს აღინიშნა გამოჩენილი ქართველი პოეტის, პუბლიცისტის და იუმორისტის ზაურ ბოლქვაძის დაბადებიდან 90 წელი. ამ თარიღს მიეძღვნა ორიგინალური საიუბილეო საღამო რუსთაველის სახელმწიფო ეროვნულ თეატრში. ჩვენს გაზეთში კი დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს როინ მეტრეველის შესანიშნავი წერილი – მონატრება „ზაურ ბოლქვაძე – სიყვარულის პოეტი“.**

**დღეს გთავაზობთ კიდევ ორი ცნობილი კალმოსნის მოგონებას მართლაც დაუვიწყარ ზაურ ბოლქვაძეზე.**



# ზაურ ბოლქვაძის სილუეტი

ამ ჩანახატისათვის მინდოდა, „შტრიხები პორტრეტისათვის“ დამერქმია, მაგრამ „შტრიხები“ უფრო პრეტენზიულ ტერმინად მივიჩნიე, ვიდრე – ნეიტრალური „სილუეტი“; ზაურ ბოლქვაძეზე საუბრისას უნდა ვეცადო, აუწონავი სიტყვა არ დამცდეს, რათა მასთან, აქაც და იქაც, ცამდე მართალი დავრჩე.

ვერ ვიტყვით, რომ ტომეულები დატოვა, მაგრამ, რაც დაგვიტოვა, თვალმარგალიტია, ბაჯაღლოა და, რაც აუცილებლად ხაზგასასმელია, ანდერძივით ჟღერს: არ გეთმობოდეთ მამული, რომელიც, შაგრენის ტყავივით, იმდენად დაცოტავდა, რომ: დღეს ერთად რომ მოვკვდეთ მისთვის, საფლავებადაც არ გვეყოფაო!

გულის მოსათუთე, გულის მომფერებელი, გულის პოეტი იყო. დანკოს გულის ასოციაციებს იწვევდა იგი ყოველთვის ჩემში. „ო, გთხოვ, ორ აპრილამდე ორიათას სამი წლის, გულო, არ მიღალატო, არ გამისკდე, გამიძელ!“-ო, მაგრამ არ შეუსრულა ეს ვედრება გულმა, - ვერ გახდა სამოცდაათის.. .

ერთხელ ნახევრადხუმრობით ვუთხარი, „არ გამისკდე“-ს, „არ მომიკვდე!“ ხომ არ აჯობებდა-მეთქი. დაფიქრდა და მითხრა, შესაძლოა, შევცვალოო.

იუმორით სავსე კაცი იყო. (სხვათაშორის, მოსალოდნელია, ცას არც მე გამოვეკერო და, მინდა, მკითხველმა იცოდეს: ვისაც ზაურის შედევრი (მართალია, ცოტა სკაბრეზულია ტონალობით) „მოგზაურობა ბაქოში“ არ წაუკითხავს, ცოდვაა!).

საოცარი მკითხველი იყო. ახლა უფრო მიკვირს მისი გულუხვობა დროსთან მიმართებაში: გაზეთსა თუ ჟურნალს წაუკითხავს არ ტოვებდა! არადა, იმ დონის შემოქმედს, როგორიც „ლომი“ გახლდათ, დრო მისხალ-მისხალ უნდა ეზოგა, რათა საკუთარი ეწერა!

ერთხელ მთელი სერიოზულობით თქვა რედაქციაში: შოთა ნიშნიანიძის ლექსი წავიკითხე ნოდარ ჩხეიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი. საოცარია, „კომუნისტების“ ავტორმა ასეთი ანტიოშჩინა როგორ გაბედაო! ყოჩაღ შოთასო და, ნიმუშად, ერთი ტაეპი ზეპირად გაგვაცნო: “შენ თუ მკვდარი ხარ და მე ცოცხალი, ვისთვის უფროა ღმერთი მოწყალე, - თუ არ გავამხელთ, გვიჯობს“!

ბევრ რამეში გაუმართლა ჩვენს მოსიყვარულე მეგობარსა და, მართლაც რო, „თხემით ტერფამდე პოეტს“ ზაურ ბოლქვაძეს და მხოლოდ ერთში შეცდა, როცა ბრძანა: „ქართული ლექსის დიდ სასახლეში, სად ზეიმია ზვიად მუზების, მწამს, ვერ შებედავს ეს ჩემი ლექსი, ბავშვივით კართან აიტუზება“-ო.

აიტუზა კი არადა, სვეტივით დგას!

ახლა კი სილუეტსაც გადავავლოთ თვალი.

* * *

**...ზაურს საშინლად ეჯავრება მარტოობა. არ ვამბობ, სევდიან გუნება-განწყობილებას უქმნის, ან მელანქოლია იპყრობს-მეთქი. არა, ეს ყველაფერი ადვილად ასატანია იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელშიც მარტოდ შთენილი ზაური ვარდება. თანაც, „მარტოობაში“ მხოლოდ მარტოობას ვგულისხმობ, აბსოლუტურად მარტივ სიტუაციას, როდესაც კაცი ფიზიკურადაა მარტო, და არა – სოციალურ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი რაღაც მოსაზრებებით განდგომილი და გამიჯნულია საზოგადოებისაგან.**

შეუძლებელია, ვთქვათ, ერთმა საათმა ისე განვლოს, რომ ზაურს ან არავინ გამოელაპარაკოს, ან არავის დაურეკოს. ადგილზე ვერ ჩერდება, ბორგავს და ბოლთას სცემს გაუთავებლად... ერთი სიტყვით, იგი ისევე საჭიროებს ადამიანებთან კონტაქტს, როგორც სულთმობრძავი – ჟანგბადის ბალიშს.

ამავე დროს, ვერ წარმომიდგენია ისეთი ბანალური სიტუაცია, რომლის დროსაც ზაურს იუმორის გამოვლენის საშუალება არ გაუჩნდეს; უკეთ, არ გაიჩინოს ასეთი საშუალება. ზაური იმპროვიზებული იუმორის ჩინებული ოსტატია ქართველ მწერალთა, მათ შორის, იუმორისტ მწერალთა შორისაც.

აი მე ვურეკავ ზაურს, როგორც „ნიანგის“ მთავარ რედაქტორს – 99-55-54. ზუმერის სამი-ოთხი გაწკრიალება და ყურმილში ჩუმი, სუსტი და ყრუ ხმა გაისმის:

– გისმენთ.

– (ომახიანად) ზაური ხარ?

– (უფრო ყრუდ) დიახ.

– (მჭექარედ) გამარჯობა, ლომი!

– (უნდილად) გამარჯობა, ძამა.

– (გაკვირვებით) ალო, ალო, ზაური ხარ?

– (ოდნავ ხმამაღლა) კი ვარ, ლომი, ზაური ვარ, კი. შენ ვინ გგონივარ?

– მერე, გამეცი, შე კაცო, ხმა!

– (უფრო ხმამაღლა) ხმა თუ არ გაგეცი, აპა, რაფერ ვლაპარაკობთ!

– ჰო, მაგრამ რაღაც წყნარად მელაპარაკები!

– ლომი, საერთოდ, ზრდილობა მოითხოვს წყნარად ლაპარაკს, როცა არ იცი, ვის ელაპარაკები.

– გიზო ვარ, კაცო, ზარნაძე!

– (ისევ ხმადაბლა) იყავი მერე, რა ვქნა ახლა...

– ნახევარ საათში მანდ ვარ, ადგილზე თუ იქნები.

– მოდი, ლომი, მოდი. (ტემპში) არ ვეკუთვნი, ლომი, მე საკუთარ თავს, ტეკაა, ცეკაა, აქეთური, იქეთური. კი იცი შენ ეს, მარა, მაინც მოდი!

– მაშინ ნახევარ საათში კი არა, ახლავე მოვალ!

მართლაც მაშინვე მივდივარ, რადგან ვიცი – ზაური მარტო ზის კაბინეტში და უკიდურესად მოწყენილია. ეს შეეტყო ხმაზეც, მელანქოლიურ ინტონაციაზეც, ოდნავ ახირებულ პასუხებზეც... ისე, საკმარისია კაბინეტში ერთი კაცი მაინც იყოს, მნიშვნელობა არა აქვს, მაინცდამაინც – ვინ, რომ ყურმილში ომახიანად გაისმის:

– ოჰ, ლომს გაუმარჯოს! უკვდავს გხდი, ძამა, უკვდავს! დღეს ჩავუშვით შენი „უცნობი ჟურნალისტი“ მესამეში. დღეს რამდენია? შვიდია ხომ? ა, ძამა, ხვალ არა, არ მეესწრება, არც ზეგ, ათში მოდი და კორექტურა წამიკითხე, ძალიან გთხოვ! მერე კიდევ – წიგნი წარმოადგინე, ლომი, „ბიბლიოთეკისთვის“. გადაბეჭდე ორ ცალად, რუსული წარწერაც შენ თვითონ გაუკეთე, კი იცი მაგდენი რუსული ზოშჩენკოს მთარგმნელმა, და მოიტანე. წლის ბოლოს ჩაგაბარებ სასიგნალოს! (ამას შვიდ დეკემბერს მელაპარაკება!).

10 დეკემბერი, 1988 წ.

### შენსავით ლექსი ვინა შვა

**ცნობილ ქართველ პოეტს ზაურ ბოლქვაძეს საიუბილეო დღეები დაუდგა. იგი სამოცი წლის გახდა და, წესით და რიგით, იუბილარის სავარძელში უნდა ჩაბრძანებულიყო დარბაისლურად, მაგრამ მან მშვენივრად უწყის, მის სამშობლოს რომ უდიდესი საფრთხე ემუქრება!.. სამშობლოს, რომელსაც ასე მიმართავს: „მარტო იმიტომ მოვკვდები მშვიდად, რომ შენ მოგაკლო სიკვდილი ერთი!“**

გთავაზობთ ზაურ ბოლქვაძის სალაღობო ლექსს დიდოსტატ კონსტანტინეზე:

**შენსავით ვერვინ ვერ თესა, ვერ მოიმკო და ვერ მოხნა,**
**შენ ფეხზე მოსიარულე უკვდავი საქართველო ხარ!..**
**ვინც არ გაღმერთებს, არ გაქებს და ვისაც შენი**
**არ სჯერა, –**
**იმას რად უნდა მტერობა, ჰქონდეს,**
**ნუ მოსჭრი მარჯვენას!..**

### ჩემდათავად, ეს სტროფი ზაურსავე „მოვარგე“:

**შენი ლექსი ვასხვაფერე, ვაჯახირე, ვთალე დუმა,**
**თუმც ვშიშობდი, არ ამიკლოს შენმა ჩუმმა საყვედურმა...**
**ბოლოს მაინც გადავწყვიტე, ვით დურაქმა გაბედულმა:**
**შენსავით ლექსი ვინა შვა, გიცნობენ რითმის**
**მძლეოსნად,**
**შენ ფეხზე მდგომი ვაზი ხარ, ღელე ხარ,**
**მთა ხარ, მდელო ხარ!**
**ყველას ხელისგულს უზიხარ, სწყურიხარ მტლედ**
**და მეოხად!**
**ვინაც საქვეყნოდ არ გაქებს, შენი ლომობა**
**არ სჯერა,**
**იმას ნუ მოსჭრი ხალხში თავს, გაუშვი,**
**ჰქონდეს მარჯვენაც.**
**24 აპრილი, 1996 წ.**


გიზო ზარნაძეს
[illegible]
ზაურ ბოლქვაძე
10 ივნისი, 1985 წელი.

რაც შეეხება ზაურის ლექსპრომტს, რომელსაც აქვე წარმოგიდგენთ, იგი ასახავს ეპიზოდს, როცა ტელევიზიიდან მივლინებული გახლდით გურიაში ანა კალანდაძეზე გადაცემის მოსამზადებლად.

ზაურმა მთხოვა, შემევლო მის მშობლიურ სოფელ გუთურში და მომენახულებინა მოხუცი დედამისი, ქალბატონი კესარია, რომელიც ავადმყოფობდა და ქალიშვილი უვლიდა. გამატანა ცოტაოდენი თანხაც და ბარათიც.

ძალიან გაიხარეს.

**გიზო ზარნაძე**

## ვანო ჩხიკვაძე:

### ლომი

**გაზაფხული დგება თუ**
**მწუხრი შემოდგომის,**
**აღარ შემომბუხუნებს**
**რუსთაველზე ლომი.**

**მოკვდა ზაურ ბოლქვაძეც,**
**ისიც მოათავეს,**
**მისი სულიც ათრთოლებს**
**საქართველოს ჰაერს...**

**მთაწმინდისკენ ბატკანი**
**მიჰყავთ სააღდგომო...**
**აბა, რა ვთქვა,**
**ძალიან**
**მომენატრე, ლომო!**



## გულშემოყრილობა

რუსთაველზე, მთავრობის სახლის წინ ზაურ ბოლქვაძე შემხვდა. მოვიკითხე, როგორ ბრძანდები-მეთქი.

აბა, როგორ ვიქნები, **გულშემოყრილობა** მაქვსო, მითხრა და თან თვალით მთავრობის სახლზე მანიშნა.

იმ დღეებში საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი ყრილობა ტარდებოდა.

## მოქეიფე ბათუ მელია...

**ნოდარ დუმბაძე ჟურნალ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორია.**

მოადგილედ ზაურ ბოლქვაძე – კარგი პოეტი და ხალასი იუმორის პატრონი, იგივე ბათუ მელია ჰყავს.

ერთხელაც გადააბა ქეიფი ქეიფს ზაურ ბოლქვაძემ და რამდენიმე დღეს სამსახურში მთვრალი მოდის.

გაბრაზდა ბატონი ნოდარი და გააფრთხილა, ლომო (ზაურ ბოლქვაძის „კლიჩკა“), გაფრთხილებ, ნასვამი სამსახურში აღარ დაგინახოო.

– კი ბატონოო, – ზაურმა დამორცხვებული მოსწავლესავით ჩაღუნა თავი, გამოვიდა რედაქტორის კაბინეტიდან და... ერთი კვირა, სამსახურში, საერთოდ არ გამოჩენილა.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოცხადდა თვალებდასიებული.

გაუწყრა რედაქტორი,- ამდენ ხანს სად დაიკარგეო.

– რა უნდა მექნა, როგორ მოვსულიყავი, ხომ გამაფრთხილე ნასვამი სამსახურში აღარ დაგინახოო, – თავი იმართლა მოადგილე ბათუ მელიამ.

**ზაურ ბოლქვაძე**

## დედა საქართველოვ!

**დიდი იყავ!..**
**გფარეთ მკერდით!..**
**გკვებეთ სისხლით!..**
**გალბეთ ოფლით!..**
**დღეს,**
**ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის,**
**საფლავებად არ გვეყოფი!..**

**შენი ღვიძლი მიწა-წყალი**
**ახატია სხვების რუკებს!**
**წარიტაცა ზოგმა ძალით!..**
**ზოგს მიჰყიდეს...**
**ზოგს აჩუქეს!..**

**და რაც დაგვრჩი,**
**დაგვრჩი მარად!..**
**დაგვრჩი ხორცად!..**
**დაგვრჩი ძვლებად!..**
**დაღუპვისგან დაგვიფარავს**
**მარტო შენი დასიზმრება!..**

**საქართველოს გეტრფით მთლიანს!..**
**საქართველოს გეტრფით ახალს!..**
**იცოცხლე და, სულ ერთია,**
**დიდი ხარ თუ პატარა ხარ!..**

**უფრო მეტი დაგებადოს -**
**ერის მშვენი!**
**ენის მშვენი!..**
**არ ყოფნიდეს აკვნებადაც**
**შვილთა შენთა ტყენი შენი!..**

**დიდი იყავ!..**
**გფარეთ მკერდით!..**
**გკვებეთ სისხლით!..**
**გალბეთ ოფლით!..**
**დღეს,**
**ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის,**
**საფლავებად არ გვეყოფი!..**

# ისრაელშიც კი სიტყვა „დეპოლარიზაცია“ ყველას პირზე აკერია!..



**სამი თვეა უკვე, ისრაელი დუღს. დუღილის მიზეზი კი, მმართველი კოალიციის მიერ სასამართლო რეფორმის გატარების სურვილია. რეფორმის წინააღმდეგია კოლექტიური ოპოზიცია და მოსახლეობის ერთი ნაწილი. ქვეყანაში მასობრივი პროტესტია. რეფორმას ისრაელის პრეზიდენტიც გაემიჯნა, მაგრამ, მმართველი კოალიცია მაინც თავისას იჩემებს.**

სასამართლო რეფორმის იდეას ისრაელის სამხედრო ელიტა და პოლიციაც შეუერთდა. თავად, ქვეყნის თავდაცვის მინისტრი, იოავ გალანტი, დადგა მათ გვერდით. განხეთქილებამ ღრმად შეაღწია ქვეყნის თავდაცვის სტრუქტურებში, რადგან ჩაითვალა, რომ რეფორმა აშკარად ემუქრება ისრაელის ეროვნულ უსაფრთხოებას.

მე ამას არ დავუშვებო, თქვა თავდაცვის მინისტრმა, და პრემიერ-მინისტრმა ის თანამდებობიდან გადააყენა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა მდგომარეობა. მინისტრის გათავისუფლების დღეს, თელ-ავივში, ნახევარ მილიონზე მეტი დემონსტრანტი გამოვიდა ქუჩაში.

ოპოზიციამ დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. გაიფიცნენ აეროპორტები, კლინიკები, კვების ობიექტები, სასწავლო პროცესი შეწყდა უნივერსიტეტებში, 30-მდე ქალაქის მერმა შიმშილობა გამოაცხადა. ქვეყნის ნორმალური ცხოვრება დაირღვა. ბოლოს, ნეთანიაჰუ კომპრომისზე წავიდა და, ეროვნული განხეთქილების თავიდან ასაცილებლად, სასამართლო რეფორმა გადადო. გაჩნდა კითხვა: რა რეფორმაა ასეთი, რომ ქვეყანაში სერიოზული არასტაბილურობა გამოიწვია? ისრაელში არ არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო. მის ფუნქციას უზენაესი სასამართლო ითავსებს.

მმართველი კოალიციის აზრით, ისრაელის უზენაესი სასამართლო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბდა. ამ გახმაურებული რეფორმიდან გამომდინარე, უზენაეს სასამართლოს აეკრძალება ქვეყნის საკანონმდებლო პროცესში პოლიტიკური მიზნით ჩარევა და, ფაქტობრივად, ყველაფერს ქნესეტი, ანუ, ისრაელის პარლამენტი გადაწყვეტს. რეფორმა, ასევე, ითვალისწინებს, რომ უზენაესი სასამართლოს წევრთა დანიშვნის პრეროგატივა პარლამენტს მიენიჭოს, მაგრამ, როგორც პოლიტიკური ექსპერტები ამბობენ, რეფორმა მხოლოდ საბაბია. რეფორმის მოწონება-არმოწონებით გამწვავებული საზოგადოებრივი აზრი, სიღრმისეულად, ისრაელის საზოგადოების მკვეთრ გახლეჩილობას უკავშირდება ლიბერალებად და კონსერვატორებად. მხარეებს რადიკალურად განსხვავებული წარმოდგენა აქვთ ქვეყნის განვითარებაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, დღესდღეობით, ისრაელი განვითარების კონსერვატიული ვექტორისკენ უფრო იხრება, რაზეც, ყველაზე კარგად, ბოლო საპარლამენტო არჩევნების შედეგები მეტყველებს.

დღეს, ისრაელს ყველა დროის ყველაზე კონსერვატიული მთავრობა მართავს, თუმცა, მმართველ კოალიციაში, პრემიერ ნეთანიაჰუს კონსერვატული პოლიტიკური ძალა, შედარებით, ნაკლებადაა წარმოდგენილი. დანარჩენები, ულტრა-ორთოდოქსულ ებრაელობას წარმოადგენენ. მათი მსოფლმხედველობა მკვეთრად განსხვავდება ისრაელის საზოგადოების ლიბერალური ნაწილის განწყობისგან. მაგალითად, კოალიციას სურს, ისრაელის მოქალაქეობის მიღება გამკაცრდეს და ეს სიმკაცრე წარმოშობით ებრაელსაც შეეხოს. ულტრა-ორთოდოქსები იმ ებრაელ იმიგრანტებზე ბრაზობენ, ვინც რელიგიურ კანონებს არ იცავენ. ასე ამბობენ, ზუსტად ამნაირ ებრაელებს უნდა აეკრძალოთ მოქალაქეობის მიღებაო. მათვე სურთ იმ კანონის გაუქმება, რომელიც ებრაელის მესამე თაობის შთამომავალს ისრაელის მოქალაქეობას აძლევს. ლიბერალთა აზრით კი, პირიქით, ულტრა-ორთოდოქსები ნამდვილი პარაზიტები არიან, მაგალითად, ნაკლებ გადასახადს იხდიან და ჯარში არ მსახურობენ.

მოკლედ, ისრაელის მთელი საზოგადოება უაღრესად პოლარიზებულია, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს. სიტყვა დეპოლარიზაცია აკერია პირზე ყველას, მაგრამ მისი რეალურად განმახორციელებელი, ჯერჯერობით, არ ჩანს.

# მიქელანჯელოს შედევრი პორნოგრაფია ყოფილა!







**უცნაურ დროში რომ ვცხოვრობთ, ხშირად მითქვამს, მაგრამ, ამდენად უცნაური თუ იყო, არ ვიცოდი. ლიბერალების პოლიტკორექტულობამ ყველა ზღვარს გადააბიჯა, იქამდე მივიდნენ, რომ ხელოვნებაზე მკაცრი ცენზურის დწესება მოუნდათ. ბოლშევიკები მეტს კი არაფერს შვებოდნენ!**

მაგრამ, რადიკალი კონსერვატორებიც არ აკლებენ ხელს, და ცუდია ეს. თურმე, რაც არ მოგდის თვალში, ყველაფერი უნდა აკრძალო. რადიკალიზმი, მემარცხენე იქნება ეს თუ მემარჯვენე, ზოგადადაა მიუღებელი, რაზეც, ფლორიდის ერთ-ერთ სკოლაში მომხდარი ამბავი მეტყველებს: მასწავლებელი მეექვსე კლასელებს, ხელოვნებათმცოდნეობის გაკვეთილზე, რენესანსის პერიოდის შედევრებს აცნობდა, მათ შორის, მიქელანჯელოს ცნობილ ქანდაკებას, ბიბლიურ პერსონაჟს, მეფე დავითს რომ განასახიერებს.

მასწავლებელმა, იმავე გაკვეთილზე, განიხილა მიქელანჯელოს ფრესკა „ადამის შექმნა“ და სანდრო ბოტიჩელის ნახატი „ვენერას დაბადება“. გახსოვთ, რომ ამ ნაწარმოებებში, შიშველი სხეულია გამოსახული, რის გამოც, მშობლებმა სკოლას უჩივლეს, 10-12 წლის ბავშვებს პორნოგრაფიას აჩვენებენო. გააფთრებულმა მშობლებმა სკოლის დირექტორისა და მასწავლებლის გათავისუფლება მოითხოვეს. დირექტორმა, ღირსების შესანარჩუნებლად, თავისი ნებით წასვლა ამჯობინა. ინციდენტს ამერიკასა და იტალიაში უმწვავესი დისკუსია მოჰყვა. ხელოვნებათმცოდნეებმა განაცხადეს, რომ რენესანსის ეპოქის სწავლებისას, მიქელანჯელოს „დავითისთვის“ თავის არიდება, უბრალოდ, წარმოუდგენელია. ასე თქვეს, ადამიანმა, როგორმე, უნდა ისწავლოს ხელოვნებისა და პორნოგრაფიის ერთმანეთისგან გარჩევაო. აღშფოთებულმა იტალიელებმა შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი. ფლორენციის მერმა ტვიტერში დაწერა, ხელოვნების პორნოგრაფიად მონათვლაზე უფრო დიდი აბსურდი არ არსებობს; ხელოვნება ჩვენი ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ვინც მას ასწავლის, უდიდესი პატივისცემის ღირსიაო. მოგვიანებით, ფლორენციის მერმა და ქალაქის მუზეუმის დირექტორმა, სადაც დავითის ქანდაკებაა გამოფენილი, ფლორიდის იმ სკოლის მოსწავლეები და მშობლები ფლორენციაში ოფიციალურად მიიწვიეს, რათა მათ ორიგინალში იხილონ მსოფლიო შედევრები, ხელოვნებაზე ადეკვატური წარმოდგენა რომ შეიქმნან. ცნობილი ქართველი ხელოვანის, ჯუნა მიქატაძის ქანდაკების, „მზეჭაბუკის“ ამბავი გამახსენდა უნებლიეთ, სპორტის სასახლის წინ რომ დგას. კომუნისტურმა ცენზურამ, ლეღვის ფოთოლი ააფარებინა მხატვარს მზეჭაბუკის შიშველ სარცხვინელზე.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
POSTV

## დაპირისპირება იერუსალიმის მეჩეთში

**იერუსალიმის ალ-აქსას მეჩეთში ისრაელის პოლიციასა და ათობით პალესტინელ მლოცველს შორის დაპირისპირება მოხდა. შეტაკების დროს 14-მა პალესტინელმა მიიღო ჭრილობები რეზინის ტყვიებით. მათივე მტკიცებით, ისრაელის პოლიცია ხელს უშლიდა ექიმების მეჩეთთან მიახლოებას.**

ისრაელის პოლიციაში კი აცხადებენ, რომ სამართალდამცველები იძულებული გახდნენ, ალ-აქსას მეჩეთის ტერიტორიაზე შესულიყვნენ მას შემდეგ, რაც ნიღბიანი „აგიტატორები“, რომელთაც თან ჰქონდათ ჯოხები და ქვები, მეჩეთში ჩაიკეტნენ. ისრაელის პოლიცია ამტკიცებს, რომ პალესტინელები მათ ქვებს ესროდნენ და ერთი სამართალდამცველი დაშავდა. თავის მხრივ, პალესტინელებმა დაგმეს ისრაელის თავდასხმები მლოცველებზე და მომხდარს დანაშაულებრივი ქმედება უწოდეს. დაპირისპირება ალ-აქსას მეჩეთში მას შემდეგ დაიწყო, რაც პალესტინელმა სამხედრო დაჯგუფებებმა მოუწოდეს მუსლიმებს, არ ჩაატარებინონ რელიგიური რიტუალი ებრაელ მლოცველებს.



## სირიზას ხელმძღვანელი ერთნაირსქესიანთა ქორწინებას აკანონებს...

**საბერძნეთის ოპოზიციის ლიდერმა ალექსის ციპრასმა პირობა დადო, რომ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას დააკანონებს.**

მთავარი მემარცხენე ოპოზიციური პარტიის SYRIZA-ს ხელმძღვანელმა ალექსის ციპრასმა თქვა, რომ მისი მთავრობა ერთნაირსქესიან წყვილებს კანონიერი ქორწინების უფლებას დართავს.



**„საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში საბერძნეთი პირველი მართლმადიდებლური ქვეყანა გახდება, სადაც ქრისტიანების დიდი ნაწილი ასეთ ნაბიჯს გადადგამს“,** – წერს მედიასაშუალება. ციპრასის თქმით, მისი პარტიის გამარჯვება ნიშნავს წყვილების სრული უფლებების დაცვას.

**„საბოლოოდ დადგა დრო, ჩვენი პარტიის გამარჯვებისა. ეს ნიშნავს წყვილების სრული უფლებების დაცვას, განურჩევლად მათი სქესისა“,** – აცხადებს ციპრასი.

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს თბილისი-საგარეჯო და საგარეჯობაკურციხის (საგარეჯოს აღმოსავლეთიდან (თოხლიაურის გადაკვეთა) ბადიაურამდე მდებარე საავტომობილო გზის მონაკვეთი) საავტომობილო გზის (ლოტი III) გაუმჯობესების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე მარიკა ხარებაშვილის (პ/ნ: 36001000289) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული: 1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, ყანდაურას ადმინისტრაციულ ერთეულში (ბლოკი 027, ნაკვეთი 009) მდებარე 3 913 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 55.06.59.027.009) ნაწილი - 3 321 კვ. მ. მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული მცირე ნაგებობება და მრავალწლიანი ნარგავები; 2. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ბადიაურში მდებარე 3 783 კვ. მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 55.06.62.000.123) ნაწილი - 2 524 კვ. მ. მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება);

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებულ იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 30 მარტის 1-1/128 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ: 1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, ყანდაურას ადმინისტრაციულ ერთეულში (ბლოკი 027, ნაკვეთი 009) მდებარე 3 913 კვ.მ. სასოფლოსამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 55.06.59.027.009) ნაწილზე - 3 321 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე, მასზე არსებული მცირე ნაგებობებასა და მრავალწლიაინ ნარგავებზე; 2. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ბადიაურში მდებარე 3 783 კვ. მ. სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 55.06.62.000.123) ნაწილზე - 2 524 კვ. მ. მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებული მრავალწლიანი ნარგავებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს თბილისი-საგარეჯო და საგარეჯობაკურციხის (საგარეჯოს აღმოსავლეთიდან (თოხლიაურის გადაკვეთა) ბადიაურამდე მდებარე საავტომობილო გზის მონაკვეთი) საავტომობილო გზის (ლოტი III) გაუმჯობესების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების გიორგი ნაცვლიშვილის (პ/ნ: 36001043055), მაია ნატროშვილის (პ/ნ: 36001047267), მარიამი ნაცვლიშვილის (პ/ნ: 36001052211) და ნიკა ნაცვლიშვილის (პ/ნ: 36001044701) (შემდგომში - მესაკუთრეები/მოქალაქეები) თანასაკუთრებაში არსებული: 1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, ადმინისტრაციულ ერთეულ ყანდაურაში მდებარე (ბლოკი 037, ნაკვეთი 006) 3 388 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 55.06.60.037.006) ნაწილი - 1309 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული მცირე ნაგებობა (ღობე) და მრავალწლიანი ნარგავები; 2. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ბადიაურში მდებარე 1 882 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 55.06.62.000.207), მასზე არსებული მცირე ნაგებობება (ბოძები და მავთული) და მრავალწლიანი ნარგავები; 3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, ყანდაურა, სოფელ ბადიაურში მდებარე 383 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 55.06.62.000.208); 4. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ბადიაურში მდებარე 2 559 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (საკარმიდამო) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 55.06.62.000.203) ნაწილი - 1 513 კვ.მ მიწის ნაკვეთი; 5. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ბადიაურში მდებარე 870 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 55.06.62.335; ახალი საკადასტრო კოდი: 55.06.62.000.335) ნაწილი - 378 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება);

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრეები ინფორმირებულნი იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 30 მარტის 1-1/128 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქეების საკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს თბილისი-საგარეჯო და საგარეჯობაკურციხის (საგარეჯოს აღმოსავლეთიდან (თოხლიაურის გადაკვეთა) ბადიაურამდე მდებარე საავტომობილო გზის მონაკვეთი) საავტომობილო გზის (ლოტი III) გაუმჯობესების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქის დავით ჯინჭარაძის (პ/ნ: 01021003404) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ თოხლიაურში მდებარე 10 827 კვ. სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 55.10.52.000.030) ნაწილი - 1 858 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული მცირე ნაგებობები (ბოძები და მავთული) და მრავალწლიანი ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება);

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებულ იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 30 მარტის 1-1/128 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებულ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ თოხლიაურში მდებარე 10 827 კვ. სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 55.10.52.000.030) ნაწილზე - 1 858 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ მცირე ნაგებობებზე; ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

## საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს თბილისი-საგარეჯო და საგარეჯობაკურციხის (საგარეჯოს აღმოსავლეთიდან (თოხლიაურის გადაკვეთა) ბადიაურამდე მდებარე საავტომობილო გზის მონაკვეთი) საავტომობილო გზის (ლოტი III) გაუმჯობესების პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქე მიხეილ ლოლაძის (პ/ნ 36001010105) (შემდგომში - მესაკუთრე/მოქალაქე) საკუთრებაში არსებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ თოხლიაურში მდებარე 13 266 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 55.10.52.000.467) ნაწილი - 3399 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული მრავალწლიან ნარგავები (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მესაკუთრესთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მესაკუთრეს დამატებით, წერილობით ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მესაკუთრე ინფორმირებულ იყო, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2023 წლის 30 მარტის 1-1/128 ბრძანებით (შემდგომში - ბრძანება) დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქის საკუთრებაში არსებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ თოხლიაურში მდებარე 13 266 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 55.10.52.000.467) ნაწილზე - 3 399 კვ.მ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებული მრავალწლიან ნარგავებზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

**პირველი ქართველი...**

# პიერ დე კუბერტენის მედალი ელგუჯა ბერიშვილს!



**საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი პიერ დე კუბერტენის მედლით დაჯილდოვდა.**

ამასთან დაკავშირებით IOC-ის პრეზიდენტის **თომას ბახის** მიერ ლოზანიდან გამოგზავნილ მისალოც წერილში ნათქვამია:

**„ძვირფასო ბატონო ბერიშვილო.**

**დიდი სიამოვნებით გაცნობებთ, რომ IOC-ის აღმასრულებელმა საბჭომ დღეს თქვენ დაგაჯილდოვათ პიერ დე კუბერტენის მედლით ოლიმპიური მოძრაობის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის.**

**გთხოვთ, დაუკავშირდეთ ჩემს ოფისს დაჯილდოების ცერემონიის თარიღთან დაკავშირებით.**

**ნება მიბოძეთ, ვისარგებლო ამ შესაძლებლობით და გულწრფელად მოგილოცოთ ეს ჯილდო. პატივისცემით, თომას ბახი.“**

თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ფუძემდებლის, ფრანგი ბარონის პიერ დე კუბერტენის სახელობის მედალი IOC-მა 1997 წელს დააწესა. ეს არის მნიშვნელოვანი სპეციალური ჯილდო, რომლითაც აღინიშნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანების მიერ ოლიმპიური მოძრაობისა და ოლიმპიური სულისკვეთების პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი.

დღემდე ეს მედალი ასამდე ლაურეატს გადაეცა, მათ შორის – ხუან ანტონიო სამარანჩს (IOC-ის ყოფილი პრეზიდენტი), ემანუელ ზატოპეკს (მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი მძლეოსნობაში), ჰენრი კისინჯერს (აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი), რენიე III გრიმალდის (მონაკოს ყოფილი მმართველი პრინცი), კურტ ფულგერს (შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტი), ჯოვანი ანიელის (ფიატის ყოფილი პრეზიდენტი), ჟოაო აველანჟს (ფიფა-ს ყოფილი პრეზიდენტი) და სხვებს.

ელგუჯა ბერიშვილი ქართველთაგან პირველია, ვისაც პიერ დე კუბერტენის მედალი მიენიჭა.

**ჩვენი კაცი**

# გზად – ფორუმისკენ

**ქართველი რეფერი ნიკა ამაშუკელი ჩემპიონთა თასის 1/4-ფინალურ ეტაპზე ცენტრალური მატჩის მთავარი მსაჯია.**

ხვალ თბილისის დროით 23 საათზე დუბლინში, „ავივა სთედიუმზე“ ირლანდიური „ლეინსთერი“ ინგლისურ „ლესთერ თაიგერსს“ ერკინება. ჩემპიონთა თასის გასულ გათამაშებაში ამაშუკელი ნახევარფინალში გვერდითი მსაჯი იყო, ცენტრში კი ამ დონეზე ჯერ არ უმსაჯია.

აღსანიშნავია, რომ 1/8-ფინალში ის ინგლისური „სარასენსისა“ და უელსური „ოსფრიზის“ შეხვედრაში ასევე მთავარი მსაჯი იყო და ახალი დანიშვნა ამ მატჩის დასრულებისთანავე მიიღო:

**„ეს იყო ინგლისი-უელსის დაპირისპირების მცირე ვარიანტი. ორივე გუნდში მრავლად არიან ეროვნული ნაკრების მოთამაშეები. უელსიდან ფანებიც მრავლად იყვნენ ჩასული ლონდონში და ინტენსიური, სანახაობრივი თამაში გამოვიდა. „ოსფრიზმა“ მაგრად იბრძოლა და ტაიმიც მოიგო, თუმცა მეორე ნახევარში მასპინძლებმა შეძლეს ინიციტივის დაუფლება და გამარჯვება.**

**იმავე ღამით მოვიდა ახალი დანიშვნა, უკვე მეოთხედფინალური ეტაპის. ირლანდიური „ლეინსთერისა“ და ინგლისური „ლესთერ თაიგერსის“ დაპირისპირება ერთ-ერთი ცენტრალურია ამ ტურნირზე და სასიამოვნოა, მსოფლიო რაგბისგან და ევროპის პროფესიული საკლუბო რაგბისგან ასეთი ნდობა რომ დავიმსახურე. შეხვედრა „ავივაზე“ გაიმართება, სადაც გარანტირებულად იქნება 54-ათასი გულშემატკივარი. „ლეინსთერის“ შემადგენლობის 60-70% ირლანდიის ნაკრების წევრები არიან. ძლიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებული, მებრძოლი გუნდია „თაიგერსიც“ და დიდი ბრძოლა გაიმართება. ეს იქნება ტესტ-მატჩის დონის რაგბი და შესაბამისად ვემზადები. გული იმაზე მწყდება, რომ არ ვიქნებით წარმოდგენილი ქართული ბრიგადით და გვერდებიდან ფრანგები დამეხმარებიან“.**

7 აპრილის თამაშზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ჩემპიონთა თასსა და ჩელენჯ ქაფზე ნახევარფინალური და ფინალური მატჩები დარჩება ჩასატარებელი და მიუხედავად იმისა, რომ კონკურენცია დიდია, ამაშუკელს უფრო მაღალ დონეზე (ცენტრში) მსაჯობის შანსი ექნება. მაისში გადაწყდება, რომელი მსაჯები მოემსახურებიან 2023 წლის მსოფლიო თასს და ნიკას აქვს ყველანაირი შანსი, რომ გახდეს პირველი ქართველი რეფერი, რომელიც მსოფლიო ფორუმზე იმსაჯებს.

**„მსოფლიო რაგბის სამსაჯო მენეჯმენტი მაისის დასაწყისში შეიკრიბება და იმ 19 მსაჯის ვინაობას დაასახელებს, რომლებიც მსოფლიო თასს მოემსახურებიან. აქედან 12 ცენტრალური და 7 გვერდითი მსაჯი იქნება. იმედს ვიტოვებ, რომ მათ შორის ერთ-ერთი მეც ვიქნები. ბოლო წლებში ამ მიზნის მისაღწევად ბევრი ვიშრომე, სტრესი გამოვიარე და იმედი მაქვს დამიფასდება, მანამდე კი ჩემპიონთა თასის შეხვედრაა. ვეცდები მსოფლიო რაგბისა და ეპსრ-ის ნდობა გავამართლო და გუნდებსა და გულშემატკივარს მაღალი სტანდარტი შევთავაზო“,** – ამბობს ამაშუკელი.



# საფეხბურთო მოზაიკა

**„პარი სენ ჟერმენის“ ფეხბურთელს ლიონელ მესის საუდის არაბეთის კლუბი, „ალ ჰილალი“ წელიწადში 400 მილიონი ევროს ოდენობის ხელფასს სთავაზობს. ამის შესახებ ფაბრიციო რომანო იტყობინება.**

იტალიელი ჟურნალისტის ცნობით, მესიმ „ალ ჰილალისგან“ ოფიციალური შეთავაზება უკვე მიიღო, მაგრამ ფეხბურთელის პრიორიტეტი ევროპაში დარჩენაა. პარალელურად, „ბარსელონა“ ფინანსური პრობლემის მოგვარებას და მოლაპარაკებების დაწყებას ეცდება.

თუმცა, „ალ ჰილალმა“ თუ საწადელს მიაღწია, მესი და კრიშტიანუ რონალდუ ერთ ჩემპიონატში ითამაშებენ, შესაბამისად, მათი დუელი უკვე აზიაში გაგრძელდება. შეგახსენებთ, რომ ლიონელ მესის „პარი სენ ჟერმენთან“ კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება და, სავარაუდოდ, მხარეები თანამშრომლობას არ გააგრძელებენ.

* * *

**იტალიის თასის პირველი ნახევარფინალური დუელი დიდ იტალიურ დერბიში „იუვენტუსსა“ და „ინტერს“ შორის დაძაბული გამოდგა.**

ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ამ გუნდების დაპირისპირება, როგორც წესი, ვნებათაღელვის გარეშე არ არსებობს. მიმდინარე სეზონში ტურინულმა გრანდმა „ნერაძური“ სერია A-ში ორჯერ დაამარცხა, მაგრამ ამჯერად იგივე ვერ გააკეთა.

არადა, „იუვეს“ მოგებამდე წამები დააკლდა. ხუან კუადრადოს გოლით ტურინელები 82-ე წუთზე წინ გავიდნენ და არაფერი მოასწავებდა იმას, რომ ვერ მოეგოთ, მაგრამ საფინალო სასტვენამდე წამებიღა რჩებოდა, როცა გლეისონ ბრემერმა არაფრისგან პენალტი აიკიდა – საჯარიმოში ხელით ითამაშა. რომელუ ლუკაკუმ შანსი გამოიყენა და გაათანაბრა.

გოლის პროვოკაციულად აღნიშვნისთვის ბელგიელი თავდამსხმელი მოედნიდან გააძევეს, თამაშის დასრულების მერე კი ჩხუბისთვის წითელი ბარათები სამირ ჰანდანოვიჩმა და ხუან კუადრადომაც მიიღეს. ამრიგად, თასის ფინალისტის ვინაობა 26 აპრილს, „სან სიროზე“ გაირკვევა, როცა ეს გუნდები ერთმანეთს საპასუხო შეხვედრაში დაუპირისპირდებიან.




* * *

**თომას ტუხელის მიუნხენური კარიერა „დორტმუნდთან“ დამაჯერებელი მოგებით დაიწყო, მაგრამ უკვე პირველი მარცხიც განიცადა.**

„ბაიერნი“ გერმანიის თასის მეოთხედფინალში შინ „ფრაიბურგს“ დაუპირისპირდა, წააგო და გავარდა. დაიო უპამეკანოს გოლით „რეკორდმაისტერი“ სწრაფად დაწინაურდა, მაგრამ მალევე ნიკოლას ჰოფლერმა გაათანაბრა, ხოლო ბოლო წუთზე ლუკას ჰოლერმა „ფრაის“ მოაგებინა – 1:2.

შედეგად, „ფრაიბურგი“ გერმანიის თასის ნახევარფინალში გავიდა. საინტერესოა, რომ „ბაიერნმა“ „ფრაიბურგთან“ საკუთარ მოედანზე ისტორიაში პირველად წააგო. ტუხელისთვის, რა თქმა უნდა, ეს წაგება დადებითი ნიშანი არაა. ფაქტია, რომ „ბაიერნი“ მაინც არასტაბილურია და ხშირად ვერ იგებს მიმდინარე სეზონში, რაც ჯერჯერობით მწვრთნელის შეცვლამაც ვერ გამოასწორა.

**სასჯელი**

# ოსტარინის ფაქტორი

**ბრიტანელ მოკრივეს, ქვე-როჭოს წონაში (63.5 კგ-მდე) მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ამირ ხანს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. ამის მიზეზი გახდა მის სინჯში აკრძალულ პრეპარატ ოსტარინის აღმოჩენა. ეს სინჯი მას შარშან თებერვალში, თანამემამულე კელ ბრუკთან მარცხის შემდეგ აუღეს.**

36 წლის ხანმა შარშანვე სპორტული კარიერის დასრულება გადაწყვიტა და შესაბამისად, დისკვალიფიკაციაც ვეღარ დააზარალებს. მაგრამ თუ რინგზე დაბრუნებას მოისურვებს, ამისთვის 2024 წლის აპრილამდე ლოდინი მოუწევს.

გაერთიანებული სამეფოს დოპინგ-საწინააღმდეგო სააგენტოს (UKAD) განმარტებით, ოსტარინს ისეთივე ეფექტები აქვს, როგორიც ტესტოსტერონს. ის მსოფლიოს დოპინგ-საწინააღმდეგო სააგენტოს (WADA) აკრძალული პრეპარატების სიაშია შეტანილი, როგორც ანაბოლური აგენტი და სპორტის ყველა სახეობაში მისი გამოყენება არ შეიძლება.

ხანმა აღიარა, რომ წესები დაარღვია, მაგრამ ირწმუნება, რომ ეს შეგნებულად არ გაუკეთებია: **„ცხოვრებაში არასდროს მითაღლითია. კელ ბრუკთან ჩემ ბრძოლას თუ გაიხსენებთ, დოპინგის გამოყენების არაფერი მეტყობოდა. მე რომ ეს შეხვედრა მომეგო, მაშინ სხვა საქმე იქნებოდა. თან მე შემოწმებას თავად ვითხოვდი. ეს ნივთიერება იმ რაოდენობით, რამდენიც აღმოაჩნდა, ჩემს ორგანიზმში შეიძლება ხელის ჩამორთმევითაც კი მოხვედრილიყო. წარმოდგენაც არ მაქვს, ეს როგორ მოხდა“.**

ხანმა ათენის 2004 წლის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა. ერთი წლის შემდეგ კი პროფესიონალი გახდა და 2009 წელს WBA-ის ქვე-როჭოს წონაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. 2011 წელს IBF-ის ტიტულიც მოიპოვა

**ლაზარეთი**

# მასტერსზე ვერ ითამაშებენ

**მონტე კარლოს მასტერსის სერიის ტურნირზე ვერ ითამაშებენ რაფაელ ნადალი და კარლოს ალკარასი. ნადალს უკვე თვეებია, ტრავმები აწუხებს და თამაშს ვერ ახერხებს, ალკარასმა კი, ვისაც სეზონის დაწყებიდან ასევე ხშირი ტრავმები აქვს, მაიამის მასტერსზე კი ითამაშა, მაგრამ დაშავდა და ტურნირს გამოეთიშა.**

ნადალმა მასტერსის ორი დიდი ამერიკული ტურნირი – ინდიან უელსი და მაიამის ღია პირველობა გამოტოვა. მას თეძო-ბარძაყის ტრავმა აქვს, რომლის გამოც ავსტრალიის ღია პირველობას გამოეთიშა. ის ამჟამად სარეაბილიტაციო კურსს იტარებს.

**„სამწუხაროდ, სათამაშოდ ჯერ მზად არ ვარ. ამის გამო, ჩემთვის განსაკუთრებული იმ ტურნირების გამოტოვება მიწევს, რომლებზე თამაშიც მიყვარს. მონტე კარლო ჩემი კარიერის მნიშვნელოვანი შეჯიბრი იყო და არის, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი კვლავ გამოტოვება მომიწევს, რადგან მზად არ ვარ და კვლავ დაშავების რისკიც მაღალია“,** – ამბობს ნადალი, ვისაც მონტე კარლოს ტურნირი 11-ჯერ აქვს მოგებული.

მას იმედი აქვს, რომ საფრანგეთის ღია პირველობისთვის მომზადებას მოასწრებს, რომელიც 14-ჯერ აქვს მოგებული.

რაც შეეხება ალკარასს, ექიმთან ვიზიტის შემდეგ მან გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იქნება, თუ მონტე კარლოში არ ითამაშებს. მას მარცხენა ხელზე პოსტტრავმული ართრიტი აქვს, რაც სრულფასოვნად თამაშის საშუალებას არ მისცემს. გარდა ამისა, ზურგის კუნთში დისკომფორტიც აქვს, რასაც დასვენება სჭირდება.

## ხარება

7 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ზეიმობს ხარებას.

...ცნობილია, რომ გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა ღვთისმშობელს, რომელიც დაწინდული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე, შობდა მაცხოვარს.

„როგორი გამოძახილი მოჰყვა სამყაროში ხარებამ – რადგან სადავო არ არის, რომ ხარება 7 აპრილს იყო, შესაბამისად, მარიამი ელისაბედს აპრილის პირველ რიცხვში უნდა სწვეოდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრაა, ვინაიდან სამყაროსთან სწორედ ამ დღეს გაცხადდა საიდუმლო განგებულებისა, რომელსაც ხარების წუთიდან ელისაბედთან მისვლამდე მხოლოდ მარიამი ფლობდა.

„გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა“.

## ბზობა - ბაიაობა

9 აპრილს იესო ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შესვლას ზეიმობს. ბზობა ანუ ბაიაობის კვირა ემთხვევა აღდგომის წინა კვირა დღეს.



...მაცხოვრის შესვლა იერუსალიმში ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა.

იერუსალიმისკენ დიდებით მიმავალს, ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის რტოები ეკავა ხელში და ასე ეგებებოდა მაცხოვარს – ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისასა კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“

ბზობის დღეს სახედარზე შემჯდარ იესოს თვით მცირეწლოვანნი ყრმანიც კი შეჰღაღადებენ და აქებდნენ.

**გიული ლიპარტია**

# შეტყობინება ტენდერის (SRIP/CW/ICB-02-Rebid-02) შესახებ

**პროექტის დასახელება:** აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტი (სესხის N: 3524-GEO)

**ქვეყანა:** საქართველო

**პროექტის განმახორციელებელი უწყება:** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

**ტენდერის N:** SRIP/CW/ICB-02-Rebid-02

**კონტრაქტის დასახელება**: შიდასახელმწიფოებრივი გზის ძირულა - ხარაგაული - მოლითი - ფონა - ჩუმათელეთის, მოლითი - ჩუმათელეთის გზის კმ24+620 - კმ50+244 მონაკვეთის დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა

**კონტრაქტის ხანგრძლივობა**: 730 დღე

**სავარაუდო ღირებულება:** 87,455,489.65 ლარი

**შეფასებული მონაწილე:**

დასახელება: **Onur Taahhut Tasimacilik Insaat Ticaret Ve Sanayi A.S.**

ამოკითხული ფასი: 60,015,480.90 დოლარი, სატენდერო წინადადების ფასი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით: 163,584,064.69 ლარი. შემოთავაზებული ფასდაკლება 1.5%

შეფასებული ფასდაკლებული ფასი: 161,139,782,05 ლარი

დისკვალიფიკაციის მიზეზი: აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს 2.61 – 2.64 მუხლების შესაბამისად

დასახელება: **Guizhou Highway Engineering Group Co., Ltd**

ამოკითხული ფასი: 99,023,782 ლარი

შეფასებული ფასი: 99,023,765.88 ლარი

დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო დოკუმენტაციის, მე-3 ნაწილის - შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, 2.3.3 ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის მოთხოვნასთან შეუსაბამობა.

დასახელება: **LLC Company Black Sea Group**

ამოკითხული ფასი: 118,000,000 ლარი

დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო დოკუმენტაციის კომერციულ პირობებთან (სამუშაოების დასრულების ვადა) შეუსაბამობა

დასახელება: **unan Road & Bridge Construction Group Co., Ltd**

ამოკითხული ფასი: 158,692,538.39 ლარი

შეფასებული ფასი: 158,152,038.69 ლარი

დისკვალიფიკაციის მიზეზი: აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს 2.61 – 2.64 მუხლების შესაბამისად

დასახელება: **Shandong Luqiao Group Co., Ltd**

ამოკითხული ფასი: 28,998,518.75 დოლარი

დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო დოკუმენტაციის კომერციულ პირობებთან (სატენდერო წინადადების ვალუტა და გადახდის პირობები) შეუსაბამობა

აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს (აპრილი 2015) 2.61 – 2.64 მუხლების შესაბამისად ჩაიშალოს ტენდერი, კერძოდ „წარმოდგენილი სატენდერო წინადადებების დისკვალიფიკაცია გამართლებულია მაშინ, როდესაც არის კონკურენციის ნაკლებობა, ან წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ პასუხობს მოთხოვნებს, ან როდესაც სატენდერო წინადადების ფასები არსებითად მაღალია არსებულ ბიუჯეტზე“.

# Notification for Bid No. SRIP/CW/ICB-02-Rebid-02

**Project Name**: ADB financed Loan 3524-GEO: Secondary Road Improvement Project

**Country**: Georgia

**The project implementing Agency**: Roads Department of Georgian under the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Bid No.: SRIP/CW/ICB-02-Rebid-02

**Scope of Contract**: Procurement of remaining works for Rehabilitation of Dzirula Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from Km 24+620 to km 50+244

**Duration of Contract**: 730 days

**Employer's Cost Estimate**: GEL 87,445,489.65

**Evaluated Bidder(s):**

(1) Name: Onur Taahhut Tasimacilik Insaat Ticaret Ve Sanayi A.S.

Read out bid price: USD 60,015,480.90; Total Bid Price from summary BOQ: GEL 163,584,064.69. Discount offered: 1.5%

Evaluated Discounted bid price: GEL 161,139,782.05

Reason for rejection: Rejected in accordance with 2.61 – 2.64 paragraphs of the ADB's Procurement Guidelines.

(2) Name: Guizhou Highway Engineering Group Co., Ltd

Read out bid price: GEL 99,023,782

Evaluated bid price: GEL 99,023,765.88

Reason for rejection: Non-responsive to 2.3.3 Financial Resources of the Section 3 - Evaluation and Qualification Criteria.

(3) Name: LLC Company Black Sea Group

Read out bid price: GEL 118,000,000

Reason for rejection: Non-responsive to the Commercial Terms (Time for Completion).

(4) Name: Hunan Road & Bridge Construction Group Co., Ltd

Read out bid price: GEL 158,692,538.39

Evaluated bid price: GEL 158,152,038.69

Reason for rejection: Rejected in accordance with 2.61 – 2.64 paragraphs of the ADB's Procurement Guidelines.

(5) Name: Shandong Luqiao Group Co., Ltd

Read out bid price: USD 28,998,518.75

Reason for rejection: Non-responsive to the Commercial Terms (Currency of Bid and Payment Terms).

Reject all bids received per 2.61 – 2.64 paragraphs of the ADB's Procurement Guidelines (April 2015), *"the rejection of all bids is justified when there is lack of competition, or bids are not substantially responsive, or when bid prices are substantially higher than existing budget".*



# ორი ერის მეგობრობის ბურჯი

**ქართველი ჟურნალისტი, სპორტსმენი, თბილისის საპატიო მოქალაქე და სპორტული კომენტატორი, ჯამლეტ ხუხაშვილი 78 წლის ასაკში გარდაიცვალა.**

**„ძალიან სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ. მარადიულობას შეუერთდა ბატონი ჯამლეტ ხუხაშვილი, ორი ერის საამაყო შვილი, ღირსეული ებრაელი და გულმხურვალე ქართველი, კოტე მახარაძის მოწაფე და მეგობარი, ნიჭიერებით სავსე კაცი, უბადლო სპორტული კომენტატორი, ჩვენი თეატრის გულშემატკივარი და უერთგულესი მეგობარი. შეიძლება ითქვას, რომ დაგვტოვა ლეგენდარულმა ადამიანმა. როგორ დაგვაკლდება მისი გამორჩეული, ბუბუნა ხმა, მისი საზოგადოებრივი აქტიურობა. ორ ერს შორის გადებული ხიდის ბურჯი წაიქცა. ვწუხვართ. ნათელი დაგადგეს, ძვირფასო მეგობარო... ვერასოდეს დაგივიწყებთ... დიდი დრო დასჭირდება, ვიდრე ამ დონის ეპოქალური ადამიანი კვლავ მოევლინება ორი ერის მეგობრობის გზა-სავალს... გისამძიმრებთ ძვირფასო ევა, ვიზიარებთ ოჯახის, ორი ერის შვილების ტკივილს.“ – წერენ მეგობრები. ბოლო წლებში ჯამლეტ ხუხაშვილი უმძიმესი ავადმყოფობას ებრძოდა.**

**1963 წლიდან იყო სპორტული კომენტატორი. 1980-1992 წლებში მუშაობდა: საქართველოს ტელევიზიაში, რადიოში, ტელეკომპანიაში „იმედში“, სპორტულ რადიოში „ჯაკო“; იყო საზოგადოება „დინამოს“ მწვრთნელი, 1994 წლიდან საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების უფროსი, 1990 წლიდან „მაქაბის“ კლუბის პრეზიდენტი, ავტორი საიუბილეო წიგნისა „ყურადღება“ (2004), დასახელებულია „დინამოს“ საუკეთესო მწვრთნელად (1986), საუკეთესო სპორტულ კომენტატორად (2004), იყო სპორტული რადიო „ჯაკოს“ გენერალური დირექტორი.**

---

## ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი

**ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ქართველი ჟურნალისტის, სპორტის დამსახურებული მოღვაწის ჯამლეტ ხუხაშვილის გარდაცვალების გამო. ჯამლეტ ხუხაშვილმა, როგორც ყველასათვის საყვარელმა და ცნობილმა სპორტის კომენტატორმა, სახელი გაითქვა თავისი გამორჩეული სტილის დამსახურებით. მის სახელს უკავშირდება როგორც პირადი წვლილი ქართული სპორტის განვითარების საქმეში, ისე მისი პოპულარიზაციის ხელშეწყობა. ჯამლეტ ხუხაშვილი ასევე იყო ქართველი და ებრაელი ხალხების ურთიერთობათა განმტკიცების დიდი ქომაგი და თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი. თანაგრძნობას ვუცხადებ ჯამლეტ ხუხაშვილის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებსა და მთელ საზოგადოებას.**

**ირაკლი ღარიბაშვილი.**

---

## მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს საქმე და ქვეყანა

**ყველასთვის საყვარელი ადამიანი, ცნობილი სპორტული კომენტატორი, საპატიო თბილისელი ჯამლეტ ხუხაშვილი დააკლდა საქართველოს და თბილისს.**

**ბატონი ჯამლეტის ცხოვრება და საქმიანობა მაგალითია, თუ როგორ უნდა გიყვარდეს საკუთარი საქმე და ქვეყანა.**

**უდიდესია ჯამლეტ ხუხაშვილის წვლილი, არა მხოლოდ ქართული სპორტის განვითარებაში, არამედ ქართულ-ებრაული ურთიერთობების განმტკიცებასა და ორი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის გაღრმავებაში.**

**ვიზიარებ ბატონი ჯამლეტის ოჯახის წევრების, სპორტული საზოგადოების, ქართველ ებრაელთა სათვისტომოს, მთელი ქვეყნის გულისტკივილს.**

**კახა კალაძე.**



# დიდი ილიკოს იუბილე და „სუხიშვილების“ გალა კონცერტი

**თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში ქართული ნაციონალური ბალეტის, „სუხიშვილების“, კონცერტების სერიის დასკვნითი საღამო გაიმართა, რომელიც დიდი ილიკო სუხიშვილის დაბადების დღეს მიეძღვნა.**

ოთხი დღის განმავლობაში ანსამბლმა წარმოადგინა რეპერტუარის როგორც ტრადიციული, ისე ახალი ქორეოგრაფიული ნიმუშები. კონცერტებში მონაწილეობდა დასის მთელი შემადგენლობა და ანსამბლის მუსიკოსები. ილიკო სუხიშვილმა 1945 წელს, ნინო რამიშვილთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს, რომელმაც მსოფლიოს გააცნო ქართველი ერის უძველესი და უმდიდრესი ისტორია და კულტურა. ეს იყო პირველი პროფესიული სახელმწიფო ცეკვის ანსამბლი საქართველოში.

# მთვარის მისიის ეკიპაჟი

**ამერიკულმა კოსმოსურმა სააგენტომ NASA იმ 4 ასტრონავტის ვინაობა გაამხილა, რომლებიც 2024 წელს, მისია Artemis-2-ის ფარგლებში მთვარეზე გაემგზავრებიან.**

ეკიპაჟის შემადგენლობაშია 3 ამერიკელი ასტრონავტი – კრისტინა კოხი, ვიქტორ გლოვერი და რიდ უაისმენი და კანადელი ჯერემი ჰენსენი. Artemis-ში აღნიშნეს, რომ ადამიანების მთვარისკენ ბოლო ფრენის შემდეგ 50 წელზე მეტი გავიდა. ამასთან, მთვარის მისიაში პირველად მიიღებენ მონაწილეობას ქალი, აფროამერიკელი და კანადელი. ასტრონავტები მთვარეზე სავარაუდოდ 2024 წლის ნოემბრამდე ვერ გაფრინდებიან. მოსალოდნელია, რომ მისია Artemis-2 10 დღეს გაგრძელდება. ასტრონავტები ხომალდ „ორიონზე“ მთვარის ორბიტას მიუახლოვდებიან და დედამიწაზე დაბრუნდებიან.



2022 წლის დეკემბერში დასრულდა მისია Artemis-1, რომლის დროსაც „ორიონმა“ უპილოტო რეჟიმში მიიფრინა მთვარისკენ, მის ორბიტაზე რამდენიმე კვირა გაატარა და დედამიწაზე დაბრუნდა. Artemis-ის მისიის ბოლო ეტაპი 2025 წლისთვის არის დაგეგმილი, რა დროსაც ასტრონავტები მთვარის ზედაპირზე გადასხდებიან.



# დაზარალებული მასწავლებელი სკოლას უჩივის

**ამერიკელი მასწავლებელი, რომელსაც 6 წლის მოსწავლემ ესროლა, სკოლისგან 40 მილიონ დოლარს ითხოვს.**

25 წლის ებიგეილ ზვერნერი, რომელიც ვირჯინიის ერთ-ერთ სკოლაში მუშაობს, სკოლის ადმინისტრაციას სასამართლოში უჩივის. მისი განცხადებით, სკოლის ადმინისტრაციამ იცოდა, რომ 6 წლის მოსწავლეს „შემთხვევითი ძალადობის ისტორია ჰქონდა“.

შემთხვევა მიმდინარე წლის იანვარში ქალაქ ნიუპორტ ნიუსში მოხდა – ერთ-ერთმა მოსწავლემ ებიგეილ ზვერნერი ხელსა და მკერდის არეში დაჭრა. მასწავლებელმა ოთხი ოპერაცია გადაიტანა და 2 კვირა საავადმყოფოში გაატარა. გამოძიების მტკიცებით, 6 წლის ბიჭმა სკოლაში დედამისის იარაღი ზურგჩანთით მიიტანა. ინციდენტის შემდეგ ბრალი არავის წარედგინა. ოჯახის მტკიცებით, ბიჭს ფსიქიკური პრობლემები აქვს და იშვიათად დადიოდა სკოლაში რომელიმე მშობლის გარეშე.

# რიდლი სკოტის „ნაპოლეონი“



**Apple-მა რეჟისორ რიდლი სკოტის ფილმის – „ნაპოლეონის“ პირველი კადრი გამოაქვეყნა. ფილმი კინოეკრანებზე 22 ნოემბერს გამოვა, რის შემდეგაც მას სტრიმინგ-სერვისი Apple TV+ აჩვენებს.**

ფილმი საფრანგეთის იმპერატორის ისტორიასა და ტახტისკენ მიმავალ გზაზე მოგვითხრობს. სურათის მნიშვნელოვანი ასპექტი ნაპოლეონის და მისი ცოლის, ჟოზეფინას ურთიერთობა გახდება. ნაპოლეონის როლს სურათში ხოაკინ ფენიქსი ასრულებს. ფილმის სცენარზე დევიდ სკარპამ იმუშავა.

# მულტფილმის შემდეგ ფილმად გამოცოცხლებული „მოანა“



**Disney და დუეინ ჯონსონი „მოანას“ ეკრანიზაციაზე მუშაობენ. ამის შესახებ თავად ჯონსონმა განაცხადა, რომელიც ორიგინალურ მულტფილმში მაუის ახმოვანებდა.**

მსახიობი ამ როლს კინოადაპტაციაში დაუბრუნდება. სცენარს ფილმისთვის ჯარედ ბუში დაწერს, რომელიც „მოანას“ ანიმაციურ ვერსიაზე მუშაობდა. ამ ეტაპზე უცნობია ვინ იქნება პროექტის რეჟისორი და როდის გამოვა ფილმი. „მოანა“ Disney-ს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროექტია. მულტფილმის მთავარი პერსონაჟია მამაცი გოგონა მოანა, რომელიც საკუთარი სახლის გადასარჩენად ნახევრად ღმერთ მაუის საძიებლად მიემართება. მულტფილმი ეკრანებზე 2016 წელს გამოვიდა.

# „შრეკი“ გრძელდება



**ამერიკულმა კინოსტუდიამ DreamWorks Animation-მა ანიმაციური ფილმის „შრეკის“ მეხუთე ნაწილზე მუშაობა დაიწყო.**

ფრანშიზის პროდიუსერი კრისტოფერ მელედანდრი აცხადებს, რომ ორგანიზაცია აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს მსახიობებთან, რომლებმაც პროექტის წინა ნაწილებში მთავარი გმირები გაახმოვანეს. მიმდინარეობს მოლაპარაკებები მაიკ მაიერსთან, კემერონ დიასთან და ედი მერფისთან.

**„ველოდებით, რომ მსახიობები დაბრუნდებიან. ყველაფერი, რაც აქამდე მოლაპარაკებების პროცესში მოვისმინეთ, მეტყველებს იმაზე, რომ მსახიობებს დიდი ენთუზიაზმით სურთ დაბრუნება“,** – აცხადებს მელედანდრი.




# ბილ კლინტონი ნანობს...

**ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონის განცხადებით, უკრაინის ბირთვულ განიარაღებაში 90-იან წლებში თავის ჩართულობას ნანობს.**

ბილ კლინტონის თქმით, ვლადიმერ პუტინი, მისი წინამორბედი ბორის ელცინისაგან განსხვავებით, არ დაუჭერს მხარს ბუდაპეშტის მემორანდუმის ანალოგს, რომელიც უზრუნველყოფს კიევის „უსაფრთხოების გარანტიებს“ ბირთვული იარაღის უარის თქმის სანაცვლოდ.

**„უკრაინელებს ეშინოდათ მისი „ბირთვული იარაღის“ დათმობის, რადგან ეგონათ, რომ ეს იყო ერთადერთი რამ, რაც მათ იცავდა ექსპანსიონისტური რუსეთისგან. პუტინს როგორც კი გაუჩნდა შესაძლებლობა, დაარღვია შეთანხმება. საშინლად ვგრძნობ თავს ამის გამო, რადგან უკრაინა ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა“,** – აცხადებს ბილ კლინტონი.

1994 წლის დეკემბერში ბუდაპეშტის მემორანდუმის საფუძველზე უკრაინამ, ტერიტორიული მთლიანობის გარანტიის საფუძველზე, ბირთვულ იარაღზე უარი თქვა. გარანტორად მას სამი სახელმწიფო – რუსეთის ფედერაცია, გაერთიანებული სამეფო და აშშ ჩაუდგა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 10 აპრილს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5517; ევრო - 2.7734;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1547;
100 რუბლი - 3.2768; თურქული ლირა - 0.1329;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5032;
1000 სომხური დრამი - 6.5344

**ამინდი 6 აპრილისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +21 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +17 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +5, | დღე +16 |
| თბილისი: | ღამე | +11, | დღე +19 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge